საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 206-207 (485-486) პარასკევი, 9 ოქტომბერი, 1992 წელი ფასი 3 მანეთი

11 ოქტომბერი საქართველოსთვის შემობრუნების მიჯნაა

ეს ნიშნავს: ლეგიტიმური, კანონიერი ხელისუფლების დამყარებას; მსოფლიო თანამეგობრობაში თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს ჩართვას; მთლიანად ერის, ეროვნული უმცირესობების, თითოეული ადამიანის უფლებების დაცვას; თითოეული ჩვენგანის სოციალურ კეთილდღეობას, სულიერ ამაღლებას, ეროვნული კულტურის განვითარებას, ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებას; ერთი სიტყვით, იმას, რომ ბოლოს და ბოლოს საქართველო საკუთარი თავის ჭეშმარიტი პატრონი გახდება!

არჩევნებამდე,
2 დღე
რჩება

ამომრჩეველო, მხედველობაში იქონიე!

იმისათვის, რომ ამომრჩეველს გაუადვილდეს მისთვის სასურველი პარტიისა და საარჩევნო ბლოკის მონახვა საარჩევნო ბიულეტენში, კიდევ ერთხელ ვაქვეყნებთ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების ხელწოდებებს იმ თანმიმდევრობით, როგორც ისინი შეტანილია საარჩევნო ბიულეტენში:

საარჩევნო ბიულეტენი

საქართველოს რესპუბლიკის
პარლამენტის არჩევნები

11 ოქტომბერი

მრავალმანდატიანი ოლქი

☐ დემოკრატიული პარტია
☐ „ქარტია 91“
☐ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
☐ ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
☐ საქართველოს მთიელთა კავშირი
☐ ბლოკი „ერთობა“ — ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავლანელთა) პარტია
☐ საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია
☐ მამულის აღორძინების საზოგადოება
☐ ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია
☐ საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი
☐ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
☐ საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი
☐ ბლოკი „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა პოლიტიკური კავშირი“ — საქართველოს მთიელთა პოლიტიკური კავშირი, საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის პარტია
☐ საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი
☐ სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“
☐ საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია
☐ საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია
☐ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა „ერთიანი საქართველო“ (მ„ეს“)
☐ საქართველოს რადიკალურ-მონარქისტული კავშირი
☐ ეროვნული კონგრესის საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება
☐ საქართველოს სახალხო პარტია (სსპ)
☐ ქართველ შეფიცულთა კავშირი
☐ საქართველოს ფიზიკურად მშრომელთა (მუშურ-გლეხური) პარტია „ცხოვრების იმედი“
☐ საქართველოს ეროვნულ-სამართლებრივი პარტია
☐ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია
☐ საქართველოს ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირი
☐ სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი
☐ საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია
☐ ბლოკი „მშვიდობა“ — საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ლიგა, საქართველოს რესპუბლიკის აგრარული კავშირი, საქართველოს დემოკრატიული კავშირი, აჭარის აღორძინების სრულიად საქართველოს კავშირი, საქართველოს სამართლიანობის პარტია, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემი“
☐ საქართველოს ეროვნულ-რადიკალური პარტია
☐ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია
☐ სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება
☐ ბლოკი „11 ოქტომბერი“ — საქართველოს რესპუბლიკური პარტია, პოლიტიკური ორგანიზაცია „დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის“ („დას“-ი), საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, საქართველოს სახალხო ფრონტი
☐ სრულიად საქართველოს სულიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება
☐ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია
☐ საქართველოს მწვანეთა პარტია

ამომრჩევლებს ვთხოვთ, მხედველობაში იქონიონ, რომ ცალკეულ მრავალმანდატიან ოლქში ზოგიერთი პარტია არ მონაწილეობს არჩევნებში, კერძოდ:

№ 1 მრავალმანდატიანი ოლქი
— საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია
— ქართველ შეფიცულთა კავშირი

№ 2 მრავალმანდატიანი ოლქი
— საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა „ერთიანი საქართველო“ (მ„ეს“)
— ქართველ შეფიცულთა კავშირი
— საქართველოს ეროვნულ-სამართლებრივი პარტია

№ 3 მრავალმანდატიანი ოლქი
— საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია
— სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“
— საქართველოს ფიზიკურად მშრომელთა (მუშურ-გლეხური) პარტია „ცხოვრების იმედი“

№ 4 მრავალმანდატიანი ოლქი
— საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია
— სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“
— საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა „ერთიანი საქართველო“ (მ„ეს“)
— ქართველ შეფიცულთა კავშირი
— საქართველოს ფიზიკურად მშრომელთა (მუშურ-გლეხური) პარტია „ცხოვრების იმედი“

№ 5 მრავალმანდატიანი ოლქი
— საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია
— სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“
— საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა „ერთიანი საქართველო“ (მ„ეს“)
— ქართველ შეფიცულთა კავშირი
— საქართველოს ეროვნულ-სამართლებრივი პარტია
— საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია
— სრულიად საქართველოს სულიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება

№ 6 მრავალმანდატიანი ოლქი
— საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია
— საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა „ერთიანი საქართველო“ (მ„ეს“)
— ქართველ შეფიცულთა კავშირი
— საქართველოს ეროვნულ-სამართლებრივი პარტია
— საქართველოს ეროვნულ-რადიკალური პარტია
— სრულიად საქართველოს სულიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება

№ 7 მრავალმანდატიანი ოლქი
— საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია
— საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა „ერთიანი საქართველო“ (მ„ეს“)
— ქართველ შეფიცულთა კავშირი
— საქართველოს ეროვნულ-სამართლებრივი პარტია

№ 8 მრავალმანდატიანი ოლქი
— საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია
— საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი
— სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“
— საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა „ერთიანი საქართველო“ (მ „ეს“)
— ქართველ შეფიცულთა კავშირი
— საქართველოს ფიზიკურად მშრომელთა (მუშურ-გლეხური) პარტია „ცხოვრების იმედი“
— საქართველოს ეროვნულ-სამართლებრივი პარტია
— სრულიად საქართველოს სულიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება

№ 9 მრავალმანდატიანი ოლქი
— საქართველოს მთიელთა კავშირი
— საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია
— მამულის აღორძინების საზოგადოება
— საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი
— სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“
— საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია
— საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა „ერთიანი საქართველო“ (მ „ეს“)
— ქართველ შეფიცულთა კავშირი
— საქართველოს ეროვნულ-სამართლებრივი პარტია
— საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია
— საქართველოს ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირი
— საქართველოს ეროვნულ-რადიკალური პარტია
— საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია
— სრულიად საქართველოს სულიმ ხიმშიაშვილის საზოგადოება

№ 10 მრავალმანდატიანი ოლქი
— საქართველოს მთიელთა კავშირი
— საქართველოს ქრისტიან-ლიბერალური პარტია
— მამულის აღორძინების საზოგადოება
— სამართლიანობის აღდგენის კავშირი „ხმა ერისა“
— საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია
— საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება მოძრაობა „ერთიანი საქართველო“ (მ „ეს“)
— ქართველ შეფიცულთა კავშირი
— საქართველოს ფიზიკურად მშრომელთა (მუშურ-გლეხური) პარტია „ცხოვრების იმედი“
— საქართველოს ეროვნულ-რადიკალური პარტია

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ძვირფასო ამომრჩევლებო!
სამშობლოს მომავალი თქვენს სწორ არჩევანზეა

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ბიულეტენების შევსების — ხმის მიცემის წესს

1. საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატებია შეტანილი, ამომრჩეველმა უნდა შემოხაზოს იმ დეპუტატობის კანდიდატის რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევს ხმას.

ამომრჩეველს უფლება აქვს ხმა მისცეს მხოლოდ ერთ დეპუტატობის კანდიდატს.

ამომრჩეველს შეუძლია სხვა დეპუტატობის კანდიდატების გვარები გადახაზოს;

2. საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი, ამომრჩეველმა, რომელიც ხმას აძლევს თავმჯდომარეობის კანდიდატს, უნდა შემოხაზოს კანდიდატის რიგითი ნომერი, ხოლო ამომრჩეველმა, რომელიც ხმას არ აძლევს თავმჯდომარეობის კანდიდატს, უნდა გადახაზოს კანდიდატის გვარი. შეუვსებელი (სუფთა) ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად;

3. საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები, ამომრჩეველს უფლება აქვს ხმა მისცეს სამ პარტიას, ან საარჩევნო ბლოკს, აგრეთვე, შეჩერდეს ორ ან ერთ პარტიაზე ან საარჩევნო ბლოკზე.

ა) ამომრჩეველმა, რომელიც ხმას აძლევს სამ პარტიას ან საარჩევნო ბლოკს, ციფრი „1“ უნდა ჩაწეროს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გასწვრივ ცარიელ უჯრედში, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონს. ციფრი „2“ უნდა ჩაწეროს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გასწვრივ ცარიელ უჯრედში, რომელიც პირველის შემდეგ მოსწონს ყველაზე მეტად და ციფრი „3“ უნდა ჩაწეროს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გასწვრივ, რომელიც პირველი ორის შემდეგ მოსწონს ყველაზე მეტად. დარჩენილი ცარიელი უჯრედები შეუძლია გადახაზოს.

ბ) ამომრჩეველმა, რომელიც ხმას აძლევს ორ პარტიას ან საარჩევნო ბლოკს, ციფრი „1“ უნდა ჩაწეროს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გასწვრივ ცარიელ უჯრედში, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონს და ციფრი „2“ უნდა ჩაწეროს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გასწვრივ, რომელიც უფრო ნაკლებად მოსწონს. სხვა ცარიელი უჯრედები შეუძლია გადახაზოს;

გ) ამომრჩეველმა, რომელიც ხმას აძლევს მხოლოდ ერთ პარტიას ან საარჩევნო ბლოკს, ციფრი „1“ უნდა ჩაწეროს იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის გასწვრივ ცარიელ უჯრედში, რომელსაც აძლევს ხმას. დანარჩენი ცარიელი უჯრედები შეუძლია გადახაზოს.

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

1992 წლის 11 ოქტომბერს გაიმართება საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომლებიც ჩაწერილი არიან მის ტერიტორიაზე და მიემგზავრებიან მოსკოვში სამსახურებრივ ან პირად საქმეებზე, აგრეთვე მოსკოვისა და რუსეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებსა და ასპირანტებს, შეუძლიათ მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი და ხმა მისცენ 1992 წლის 11 ოქტომბერს მოსკოვში, საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობაში, დილის 7 საათიდან 20 საათამდე მისამართით: ფალიაშვილის ქუჩა 6 (მეტროს სადგურები „არბატსკაია“ ან „ბარიკადნაია“). ხმის მიცემისას საჭიროა თან იქონიოთ პასპორტი.

ვთხოვთ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მუშაკებს ეს ტექსტი გამოაცხადონ თვითმფრინავებში, რომლებიც ასრულებენ რეისებს თბილის-მოსკოვის მიმართულებით, 1992 წლის 9, 10, 11 ოქტომბერს.

მოსკოვში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნების კომისიის თავმჯდომარე

ნ. ახალაძე

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო“)

მხოლოდ მოლაპარაკების გზით

ამერიკის ადმინისტრაციის პოზიცია აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც ა შ შ-ის ელჩმა საქართველოში კენტ ბრაუნმა წარუდგინა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს

„გვინდა დავარწმუნოთ, რომ შეერთებული შტატების მთავრობა მთლიანად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ ძალიან გვაწუხებს ძალადობის ესკალაცია აფხაზეთში და შეშფოთებულები ვართ იმ ცნობებით, რომ რუსეთი სამხედრო დახმარებას უწევს აფხაზეთს. ჩვენ გავაცანით ჩვენი წუხილი რუსეთის მთავრობას და ხაზი გავუსვით იმას, რომ მნიშვნელოვანია რუსეთმა ხელი შეუწყოს ამ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას და თავი შეიკავოს რაიმე აქტიური სამხედრო ჩარევისაგან.

როგორც ვიცით, თავმჯდომარე შევარდნაძე შეიძლება შეხვდეს პრეზიდენტ ელცინს ამ საკითხზე მომდევნო კვირაში. ჩვენ, რასაკვირველია, გვჯერა, რომ ამგვარი შეხვედრა დაეხმარება ამ კრიზისის მშვიდობიან მოწესრიგებას და მტკიცედ გვწამს, რომ მოლაპარაკებით კონფლიქტის მოგვარება ერთადერთი შესაძლებელი გზაა, და რომ სამხედრო საშუალებებით მისი გადაწყვეტა არც შესაძლებელია და არც მისაღები.

ჩვენ აგრეთვე ვთხოვთ ყველა მხარეს, თავი შეიკავონ წამქეზებლური, ემოციური სიტყვებისაგან, რომლებიც მხოლოდ გააძნელებს კონფლიქტის მოგვარებას.

ვაღიარებთ რა ახლანდელი სიტუაციის სირთულეს, ვთხოვთ საქართველოს მთავრობას განაგრძოს პრეზიდენტ ელცინთან და რუსეთის სხვა მნიშვნელოვან ოფიციალურ პირებთან ერთად საშუალებათა ძიება, რათა მოხერხდეს არსებული დაძაბულობის განმუხტვა და მოლაპარაკების გზით აფხაზეთში მისაღები მოწესრიგების მიღწევა“.

სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრმა ბატონ **ედუარდ შევარდნაძეს** სთხოვა ამ ფაქტის კომენტარი:

— ამერიკის შეერთებული შტატების ეს განცხადება თავისთავად მნიშვნელოვანია, — აღნიშნა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — მე მივესალმები კონფლიქტის არსის ობიექტურ გაშუქებას და ვეთანხმები ამ განცხადებაში გამოთქმულ მოსაზრებებს კრიზისიდან გამოსვლის შესაძლებლობათა შესახებ.

შემდეგ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ იმედი გამოთქვა, რომ სხვა დემოკრატიული სახელმწიფოებიც ისევე, როგორც გაერო, მისი უშიშროების საბჭო, ევროგაერთიანების სტრუქტურები თავიანთ სიტყვას იტყვიან და საქართველოს ხელისუფლებას ხელს შეუწყობენ აფხაზეთის კონფლიქტის ლოკალიზაციასა და საბოლოოდ მოგვარებაში, კონფლიქტისა, სადაც აფხაზი სეპარატისტები და მათ მიერ დაქირავებული ბანდები მასობრივ რეპრესიებს და უდანაშაულო ადამიანთა მასობრივ დახვრეტებს აწყობენ.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ.
2. იმ პენსიონერებს, რომლებიც არ იმყოფებიან სამსახურში საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, საინფორმაციო-სადაზვერვო, შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში და ღებულობენ გადიდებულ პენსიებს, პენსიების ოდენობა გადაუანგარიშდეთ და მიეცეთ ამ დროებითი დებულების შესაბამისად.
3. იმ პირებს, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებში და ცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, პენსია დაენიშნოთ საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.
4. დროებითი დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი

გ. ბერიძე.

როგორც თვითმხილველნი მოწმობენ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს
რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს

სიტუაცია აფხაზეთში ტრაგიკულია. მშვიდობიან მოსახლეობას შეექმნა ფიზიკური მოსპობის საფრთხე. ამას მოწმობენ დაუფარავი ტერორისა და ულმობლობის ფაქტები, არსებითად ხდება არააფხაზი მოსახლეობის გენოციდი.

ფაქტობრივად ხაზი გადაუსვეს, მთლიანად უგულებელყვეს რა მოსკოვის ამა წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი, რუსეთის, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის რეაქციული წრეების, დაქირავებულთა და ეგრეთ წოდებული „აფხაზური გვარდიის“ „ბოევიკთა“ ძალების მიერ შეგულიანებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა სასაკლაო მოაწყვეს ქალაქ გაგრაში.

როგორც თვითმხილველნი მოწმობენ, მშვიდობიან მოქალაქეთა მასობრივ ხოცვა-ჟლეტას თან სდევდა გაწაფული ხერხებით წამება. მკვლელები შეურაცხყოფდნენ გვამებს. მაგალითად, 2 ოქტომბერს მოკლეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ ჯინჭარაძე. დედამისს მხოლოდ 4 ოქტომბერს მისცეს დასამარხავად შვილის ახო-ახოდ აჭრილი გვამი.

მთლიანად გაჟლიტეს ცაგარლების (სამი კაცი), ფაჩულიების (4 კაცი) ოჯახები. არის ცნობები, რომ დახვრიტეს მანუკიანების ოჯახი — მამა, დედა და ორი მცირეწლოვანი შვილი.

დახვრიტეს მიხეილ ვაჭაძე, ძმები შონიები, იზოლდა ხვისტანი, მხეცურად მოკლეს ზურაბ გასვიანი და ძაბა ონიანი, რომლებსაც ავტომატის ტყვია პირში დაახალეს, ცოცხლად დაწვეს საკუთარ სახლში ელენე ჩარკვიანი.

სულ ქართველთა მხარეს აქვს ქალაქ გაგრის მცხოვრებთა გაჟლეტის 800-ზე მეტი ფაქტი.

გაძარცვული, გადამწვარი და აფეთქებულია ქართველ მცხოვრებთა სახლები როგორც თვით ქალაქ გაგრაში, ისე სოფლებში კოლხიდასა და სიხარულში. სოფელ კოლხიდაში ფაქტობრივად არ გადარჩენილა ქართველთა არც ერთი სახლი. ამგვარი 150-ზე მეტი ფაქტია. კერძოდ, გაძარცვეს, ცეცხლი დაუშინეს და გაანადგურეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თამაზ ნადარეიშვილის ბინა.

მიზანდასახული გენოციდი წარმოებს ქართული ეროვნების ყველა პირის მიმართ, მათი პოლიტიკური მრწამსის, სარწმუნოების, სქესისა და ასაკის მიუხედავად.

ადამიანის უფლებათა ალმაშფოთებელი დარღვევაა იმ პირთა სიების შედგენა, რომლებიც უნდა მოისპონ, როგორც მოწმენი ამბობენ, ამ ადამიანებს ჯიუტად ეძებენ და ამიტომ, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, ქართველთა მხარე არ ასახელებს კონკრეტულ გვარებს.

აფხაზეთის ომში მონაწილეობდნენ დაქირავებულები რუსეთიდან: კაზაკები, რუსები, ოსები, ჩეჩნები, ადიღეები და სხვები.

სრულიად უდავოა აფხაზთა უკანონო სამხედრო ფორმირებებისა და მათი დაქირავებულების შეიარაღება რუსეთის არმიის მიერ და რუსეთის სამხედროთა უშუალო მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებაში. ეს სხვა არა არის რა, თუ არა უხეში ჩარევა საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში მისი ტერიტორიული დანაწილების მიზნით.

მოგმართავთ რა თქვენ, მთელ მსოფლიო საზოგადოებრიობას, საქართველოს მხარეს საჭიროდ მიაჩნია დაუყოვნებლივ ჩაერიონ საერთაშორისო ორგანიზაციები გენოციდის, ტერორის ფაქტების დადასტურებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით გადაწყვეტილებათა გამოტანისათვის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთი“.

...და ეს ყველაფერი ხდება მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების თვალწინ

მის აღმატებულებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ბატონ ბუტროს-ბუტროს გალის

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო გენერალურო მდივანო,

მოგმართავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი მეტად მძიმე მდგომარეობისა გამო.

შეიქმნა რეალური საშიშროება საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს მთლიანობის დარღვევისა.

რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში შემოჭრილი ჩრდილო კავკასიის დაქირავებული ტერორისტული ბანდები აფხაზ სეპარატისტებთან ერთად აწარმოებენ ომს საქართველოსთვის ძირძველი მხარის, აფხაზეთის მოკვეთის განზრახვით. ამ ვერაგული მიზნის განხორციელებაში მათ მძიმე ტექნიკითა და იარაღით ეხმარებიან რუსეთის რეაქციული ძალები.

იღვრება ასობით ადამიანის სისხლი. საჯაროდ ხვრეტენ უდანაშაულო ადამიანებს, შეურაცხყოფენ ქალებს, ძარცვავენ ოჯახებს... და ეს ყველაფერი ხდება მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების თვალწინ.

უხეშად ირღვევა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება; და არღვევენ ამას ის აგრესიული ძალები, რომელნიც ასევე ემუქრებიან რუსეთის დემოკრატიას.

თუ ეს ყოველივე დროულად არ იქნა აღკვეთილი, კონფლიქტი შესაძლებელია გადაიზარდოს მსოფლიო მნიშვნელობის დიდ ტრაგედიაში.

დარწმუნებულნი ვართ, თქვენო აღმატებულებავ, რომ თქვენ სასწრაფოდ მიიღებთ ზომებს ამ დაუფარავი, უხეში აგრესიის აღსაკვეთად.

საქართველოს სჯერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტისა და პირადად თქვენი შორსმჭვრეტელობისა.

ღმერთმა დაგლოცოთ.

ღრმა პატივისცემით
ილია II,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

მსგავსი შინაარსის წერილები დაეგზავნათ:

1. მის ყოვლადუწმიდესობას, ბართლომეოს 1, კონსტანტინეპოლის— ახალი რომის მთავარეპისკოპოსს და მსოფლიო პატრიარქს, ასევე ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს;
2. მის უწმიდესობას, რომის პაპს იოანე-პავლე II;
3. მის მოწყალებას, ჯორჯ ლეონარდ კარის, კენტერბერიის მთავარეპისკოპოსს, სრულიად ინგლისის პრიმასა და მიტროპოლიტს;
4. მის აღმატებულებას, ბატონ ემილიო კასტროს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივანს;
5. მის აღმატებულებას ბატონ ჟან ფიშერს, ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალურ მდივანს.

მის უწმიდესობას ალექსი II-ს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს

თქვენო უწმიდესობავ!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდისა და მორწმუნეთა სახელით, ღრმა მწუხარების გრძნობით მოგმართავთ თქვენ და გაცნობებთ, რომ რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში შემოიჭრნენ შეიარაღებული ტერორისტული ბანდები, რომელნიც აფხაზ სეპარატისტებთან ერთად შემძრწუნებელ განუკითხაობას სჩადიან აფხაზეთში — საქართველოს ძირძველ მხარეში: ძარცვავენ და ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას, შეურაცხყოფენ ქალებს, წვავენ სახლებს; და ეს ყველაფერი ხდება რუსეთის რეაქციული ძალების აშკარა მხარდაჭერით, რომლებიც მათ სამხედრო ტექნიკითა და იარაღით ეხმარებიან და ემუქრებიან არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის დემოკრატიას.

ყოველმა ჩვენგანმა უნდა დაინახოს და დროულად აღკვეთოს ეს საფრთხე.

გამოვითხოვთ თქვენს სულიერ დახმარებას და თქვენს წმიდა ლოცვებს საქართველოს წამებული ერისათვის.

ჩვენმა წმიდა ეკლესიებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისთვის, რომ რუსეთისა და საქართველოს ძმური ურთიერთობა შეუბღალავი დარჩეს.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით
ილია II,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ჩამოვა მეთვალყურეთა ჯგუფი

საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი კოორდინაციას გაუწევს საქართველოში პარლამენტის არჩევნების საერთაშორისო მეთვალყურეთა დელეგაციების მუშაობას, კერძოდ, იმ ოცკაციან დელეგაციას, რომელიც 11 ოქტომბრის არჩევნებისათვის ჩამოვა საქართველოში.

დელეგაციის წევრები მონაწილეობას მიიღებენ შეხვედრებში პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან და საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებთან. შემდეგ დელეგაცია ათ ჯგუფად დაიყოფა: ისინი იმუშავებენ თბილისსა და საქართველოს სხვა ცხრა რეგიონში. ინსტიტუტი კოორდინაციას გაუწევს მეთვალყურეთა დელეგაციებს გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კანადიდან და ევროპარლამენტიდან.

ინსტიტუტის დელეგაციები უკვე ორჯერ იყვნენ ჩვენთან წინასაარჩევნო მისიით, რათა შეეფასებინათ პოლიტიკური ვითარება საქართველოში, შეესწავლათ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ხელშემშლელი პირობები. ისინი შეხვდნენ პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს, სახელმწიფო საბჭოს წევრებს, ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებს და პრესის წარმომადგენლებს, იმოგზაურეს რესპუბლიკის რეგიონებში.

ინსტიტუტს დიდი გამოცდილება აქვს საერთაშორისო მეთვალყურეთა მისიების ორგანიზებაში ოცდაათზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის ბულგარეთსა და ჩილეში, ჩეხეთ-სლოვაკეთსა და გვატემალაში, უნგრეთსა და ნამიბიაში, პანამასა და პარაგვაიში, რუმინეთსა და ფილიპინებში, სხვა სახელმწიფოებში.

ამჟამად დელეგაციის წევრები მოაწყობენ საქართველოში არჩევნებისადმი მეთვალყურეობას მონიტორინგის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მიხედვით.

პარასკევს, 9 ოქტომბერს, 12 საათზე ინსტიტუტი გამართავს ბრიფინგს სასტუმრო „მეტეხ პალასის“ სალხინო დარბაზში. ბოლო შეხვედრა გაიმართება აქვე სამშაბათს, 13 ოქტომბერს, 10 საათსა და 30 წუთზე. დელეგაცია ჟურნალისტებს გააცნობს თავისი სამეთვალყურეო მისიის წინასწარ შედეგებს.

სათქმელი უნდა ითქვას

თანამემამულენო, არ შედრკეთ, საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვებთ!

ვახტანგ რაზმაძე,
საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი.

ძნელბედობაა საქართველოში, უმოწყალოდ იღვრება ქართველთა ქრისტიანული სისხლი. ჩვენი შინაური თუ გარეშე მტრები საფუძველს უყრიან საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლას, მისი მოსახლეობის ერთმანეთისადმი დაპირისპირებას, რაშიც საკმაო წარმატებებსაც აღწევენ. ეს ყველაფერი ხდება ზოგიერთი თანამდებობის პირის უპასუხისმგებლო და გაორებული მოქმედების გამო. ამ პირთა უპასუხისმგებლობის და გაურკვეველი პოზიციის შედეგად ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების და მათი სასიცოცხლოდ აუცილებელი სასურსათო საქონლით მომარაგების დაგეგმილი ღონისძიებანი სანახევროდ ან საერთოდ არ სრულდება, აღარაფერს ვლაპარაკობ კანონიერების დაცვასა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობაზე.

საქართველო არაერთხელ მდგარა მსგავსი განსაცდელის წინაშე, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო ნებისმიერი მეზობლის გაძლიერება, საქართველოს ტერიტორიისადმი ინტერესს ზრდიდა და საფრთხეს უქმნიდა მას, საქართველოს აუცილებელი არჩევანის ასპარეზად აქცევდა, ამ საქმეში მუსულმანური სამყარო, როგორც წესი პირველობას არავის უთმობდა.

მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულისათვის მუსულმანური სახელმწიფოების მძლავრმა აღორძინებამ საქართველო დიდი ხნით მოწყვიტა ევროპულ ცივილიზაციას.

მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისათვის შეძლო საქართველომ თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დათმობის ფასად მუსულმანთა მხრივ ფიზიკური განადგურებისაგან თავის ხსნა. ქართველი ხალხის ბუნება და მისი მისწრაფება თავისუფლებისაკენ იმდენად დიდი იყო, რომ ბევრს არად ეღირდა იმ დროს რუსეთთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც ქართველებს იხსნიდა ფიზიკური განადგურებისაგან. თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის ნებას გამოხატავდა ჩვენი სახელოვანი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი როცა ამბობდა: „რა ხელს ყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული, ესე რად არგებს კაცსა დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება“.

თუმცა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვა თითქმის ორი საუკუნე გაგრძელდა, მაგრამ ბრძოლა მისი დაბრუნებისათვის ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა და აი 1988-90 წლების აზვირთებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საბოლოოდ გამარჯვება იზეიმა 1990 წლის 28 ოქტომბერს, როცა ხელისუფლების სათავეში საყოველთაო არჩევნების შედეგად მოვიდნენ ეროვნული ძალები. სიხარულს და ზეიმს საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ, ვაი, რომ ის ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა, ჩვენ ვზეიმობდით და სულ სხვას ფიქრობდა თურმე ჩვენი ქვეყნის გარემოცვა.

ისლამური ფუნდამენტალიზმის გაძლიერება ჩვენს მეზობელ ქვეყნებში და განსაკუთრებით შიიტური მიმართულების მუსულმანთა გაერთიანების ტენდენციები არა მარტო ქართველი ხალხის მშვიდობიან ცხოვრებას უქმნის რეალურ საფრთხეს. სსრ კავშირის დაშლა და ქაოსი, რომელიც მას მოჰყვა, მუსულმანურ წრეებს საშუალებას აძლევს განახორციელონ თაობათა მიერ ნალოლიავები იდეები. კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის შექმნა არ შეიძლება მარტივად იქნეს გაგებული მხოლოდ მუსა შანიბოვის აკვიატებულ იდეად. ამ კონფედერაციის დამფუძნებელ კრებაზე სოხუმში მ. შანიბოვმა ამცნო დარბაზს, რომ ამ გაერთიანების ნახევარი შავი ზღვის გადაღმაა და აფხაზეთი მისი შუა წელია. სწორედ ამ მიზნით ყოფილა გამოცხადებული სოხუმი კონფედერაციის დედაქალაქად. ამ ე. წ. კონფედერაციის მიურიდიზმის დროშით დარაზმვაზე ის ფაქტებიც მიუთითებს, რომ ამ შეკრებაზე არ მიიწვევს სვანები, ხევსურები, მოხევეები, თუშები, თუმცა ისინი კავკასიელებიც არიან და მთიელებიც, მხოლოდ ესაა, მაჰმადთან არაფერი აკავშირებთ. საინტერესოა, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების „დამოუკიდებელი“ დელეგაცია კონფედერაციის გროზნოში გამართულ ბოლო სხდომაზე რომელი სარწმუნოებით იყო წარმოდგენილი? ამ საკითხზე შესანიშნავად არის პასუხი გაცემული თ. სახოკიას მიერ გამოცემულ „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმანში“.

ძველი ქართული გამოთქმა „დაღესტანში დაკარგვა“ განმარტებულია როგორც, „სარწმუნოებაზე ხელის აღება, სამუდამოდ დაღუპვა, სამშობლოს დატოვება, როდესაც თითო-ოროლა ქართველს რაიმე ავკაცობისათვის თავის სამშობლოში არ ედგომებოდა, სხვა გზა არა ჰქონდა. დაღესტანში უნდა გადახვეწილიყო, სადაც მას მოელოდა ქრისტიანულ სჯულზე ხელის აღება...

ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჯ. დუდაევი თავს შამილის მემკვიდრედ აცხადებს. ცნობილია, რომ მუსულმანური წრეები წარმატებით იყენებდნენ ყველა სოციალურ კონფლიქტს მის ღაზავათში (ჯიჰადში) გადასაზრდელად, რაც სხვა სჯულის ხალხთან წმიდა ომს ნიშნავს. შამილმაც 1817-64 წლებში ცარიზმის დაპყრობითი ომის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა გააერთიანა ღაზავათის დროშით და შექმნა მუსულმანური თეოკრატიული სახელმწიფო — იმამატი. შამილსაც არ დაუხანებია საქართველოში შემოჭრა და 1854 წელს წინანდლამდეც კი მოაღწია, მაგრამ მასთან ბრძოლაში ქართველთა ლაშქარმა თავი ისახელა და უკუაგდო.

ჯოხარ დუდაევიც „ახერხებს“ ჩეჩენი ხალხის ეროვნული მოძრაობა დამოუკიდებლობისაკენ ღაზავათის ფარგლებში მოაქციოს, კონფედერაციის ერთ-ერთი დამფინანსებელი და იდეური წინამძღოლი, სრულიად მოურიდებლად უცხადებს ტელეჟურნალისტს იმის შესახებ, რომ „რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები 100 000 ჩეჩენი უნდა გადაიქცეს „სმერტნიკებად“ და ღაზავათი გამოუცხადოს რუსეთს“. ამ ფონზე ალბათ არ არის გასაკვირი კონფედერაციის მიერ თბილისის უბედურების ზონად გამოცხადება და საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული საქმიანობის გაჩაღება.

ზვიად გამსახურდიას მსოფლმხედველობაც ახლოს დგას თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნის იდეასთან. დუდაევისაგან განსხვავებით, რომელიც მუსულმანური სასულიერო და საერო ხელისუფლების გაერთიანებით ქმნის ერთიან იმამატს, გამსახურდიას ჩაფიქრებული ჰქონდა (ხელისუფლების სათავეში ყოფნისას) მართლმადიდებლური რწმენის ქვეყანაში, საქართველოში ერთ ადამიანში გაეერთიანებინა უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლება. მან ამისათვის მცირე ექსპერიმენტიც კი ჩაატარა ახალციხის რაიონში, სადაც უმაღლესი ადგილობრივი ხელისუფლების მეთაურის — პრეფექტის თანამდებობაზე მოქმედი სასულიერო პირი დანიშნა.

ჯ. დუდაევის ლიდერობით ჩატარებული კონფედერაციის ბოლო სხდომა ღებულობს გადაწყვეტილებას კავკასიაში სახელმწიფოებრიობის თანდათანობით გაუქმების შესახებ. 24 სექტემბერს ჯ. დუდაევი უკვე იმამთა შეკრებას ხელმძღვანელობს გროზნოში. ასეთ ვითარებაში ზვიად გამსახურდიას და მისი აპოლოგეტების ყბადაღებული იდეა „იბერიულ-კავკასიური საერთო სახლის შესახებ“, როგორც ჩანს, ობივატელზე გაანგარიშებული მორიგი ფანდია.

შიდა ქართლში ინსპირირებული სისხლისმღვრელი კონფლიქტის დროს ოსი ლიდერები დაუფარავად აცხადებდნენ, რომ ისინი მზად არიან მთლიანად გადავიდნენ ისლამურ რჯულზე და ამით საბოლოოდ მოსწყვიტონ საქართველოს შიდა ქართლის მიწა. შემდეგ აფხაზი მუსულმანური წრეები ვერაგული გეგმების დინჯად განხორციელებით ცდილობენ ქართული ტერიტორიის დანაწევრებას. საქართველოში არსებულმა უმძიმესმა პოლიტიკურმა ვითარებამ აფხაზ სეპარატისტებს განუმტკიცა რწმენა, რომ მათ დაუდგათ შეტევაზე უკვე აშკარად გადასვლის დრო. სოხუმში კონფედერაციის დამფუძნებელი კრების ჩატარება და სოხუმის მუსულმანური გაერთიანების დედაქალაქად გამოცხადება, თურქეთის, სირიის და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა მოწვევა აფხაზეთში საცხოვრებლად, კონფედერაციის შეიარაღებული ძალებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში თავმოწონება, საქართველოს ხელისუფლებისადმი პროვოკაციული და გამომწვევი ხასიათის გამოხდომების წესად დამკვიდრება და ბოლოს არარსებული კონსტიტუციის ამოქმედება და მუსულმანური შეფერილობის დროშის ქვეშ აფხაზეთის საქართველოს გარეშე გამოცხადება — ყველაფერი ეს ერთიანი დიდი გეგმის აფხაზების ხელით უნიჭოდ გათამაშებული რგოლი იყო. სწორედ კონფედერაციის წინასწარ შემოყვანილმა უკანონოდ შეიარაღებულმა რაზმებმა მისცა ვ. არძინბას საბაბი, თამამად განეცხადებინა თურქეთში: „აფხაზეთი მზად არის ომისათვის“. მუსა შანიბოვმა ჯერ კიდევ სოხუმის დამფუძნებელ ყრილობაზე გაუსვა ხაზი, რომ „მათ შესწავლილი აქვთ ლიბანის და ირლანდიის წინააღმდეგობის მექანიზმები“. შემდეგ დაამშვიდა დარბაზი, რომ კონფედერაციის ძალები მზად არიან სამარი მოქმედებისათვის. ახლა უკვე ცხადი გახდა, რომ ისინი ამ ომს საქართველოს ტერიტორიაზე გეგმავდნენ.

საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში მუსულმანური წრეები წარმატებით იყენებენ ზვიად გამსახურდიას და მის უსუსურ გარემოცვას. გამსახურდია თავისი თეოკრატიული იდეებით ადრევე მოიქცა მუსულმანური წრეების გავლენის ქვეშ. მისი ხელისუფლების სათავეში ყოფნისას თბილისში არ ჩატარებულა პრეზიდენტის მხარდამჭერი არცერთი მიტინგი, რომელზეც ქება-ქებით არ მოეხსენებინოთ ჯ. დუდაევი, თბილისში თითქმის მუდმივად იმყოფებოდნენ მუსულმანური სასულიერო პირები, რომელნიც თავიანთ გამოსვლებში აღმერთებდნენ გამსახურდიას. ეს მაშინ, როდესაც გამსახურდია ევროპისა თუ ამერიკის ცხოვრებას ცრუდემოკრატიულს და ბურჟუაზიულს უწოდებდა. ის შეგნებულად ანგრევდა დასავლეთის ცივილიზაციასთან დამაკავშირებელ პოლიტიკურ წანამძღვრებს.

საქართველოში მძლავრი ოპოზიციის აღმოცენებას ჯ. დუდაევის განრისხება მოჰყვა, საკუთარი პრეზიდენტი კი გვაშინებდა გადამთიელი მუსულმანური „მეგობრებით“ და ზღვას იქითა „ათასობით მხარდამჭერით“. ამდენად, სამშობლოდან გაძევებული ზ. გამსახურდიას რისკის ფასად ჩაყვანა გროზნოში, პატივით დაბინავება და ინფლაციის პირობებში მისი რაზმის ცხოვრებისა და საქმიანობის დაფინანსება ჯ. დუდაევის მიერ ხორციელდება პრინციპით „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

მას შემდეგ, რაც ზ. გამსახურდიამ ჩეჩნეთის ცის ქვეშ გაიჩინა რეზიდენცია, იწყება საქართველოს წინააღმდეგ ფართო დივერსიული ქსელის ჩამოყალიბება. დევნილი ზ. გამსახურდია უცხო ქვეყანაში ახერხებს უმოკლეს დროში გამოუშვას საკმაო ტირაჟიანი, საქართველოს მიმართ აშკარად მტრულად განწყობილი გაზეთი. მიმდინარეობს ყოფილი ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი პირების მოსყიდვა და მათი გროზნოში მიტყუება. გროზნოში შექმნილია დივერსანტ-ტერორისტთა მომზადების მრავალპროფილიანი ცენტრი. გროზნოში მომზადდა გეგმა საქართველოს რესპუბლიკის მეთაურების ფიზიკური მოსპობის შესახებ. ამ მიზნით ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზადდებოდა არაერთი ტერორისტული ჯგუფი. პარალელურად, მთელი წლის განმავლობაში ზ. გამსახურდია ხელმძღვანელობს საქართველოს მოსახლეობაში დესტაბილიზაციის და დაძაბულობის მუდმივი კერების წარმოქმნის ოპერაციებს. მისი განსაკუთრებული ძალისხმევა მოხმარდა სამეგრელოს რეგიონში დღეს შექმნილი ქაოსის ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას. გროზნოდან დაბრუნებული ორატორები სხვადასხვა ქალაქებში მართავდნენ მიტინგებს, სადაც გზააბნეულ მართლმადიდებლებს ჯ. დუდაევის და ზ. გამსახურდიას ჩახუტებული პორტრეტების გვერდით სრულიად საქართველოს კათოლიკოსის შეურაცხმყოფი სურათები ეჭირათ ხელში. გროზნოდან დაფინანსებით, ტერორისტული ჯგუფის მიერ უწყვეტ ნაკადად გრძელდება ხიდების, მაგისტრალური ელსადენების, ადმინისტრაციული, სამეურნეო თუ სხვა დანიშნულების ნაგებობების აფეთქებები, დაწვეს რამდენიმე სკოლა და ფაბრიკა. სამეგრელოს რეგიონის, შეიძლება ითქვას, გროზნოდან დაქირავებული თანამემამულეების სათარეშო ობიექტად გადაიქცა. ამის შემდეგ განა ვინმეს კიდევ ეპარება ეჭვი, რომ გამსახურდია ერის მოღალატე და სამშობლოს გამყიდველია?

მიმდინარე წლის მაისში სამეგრელოში სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ჩავიდა „მხედრიონის“ რაზმი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჯ. იოსელიანის მეთაურობით. რაზმი რამდენიმე დღის განმავლობაში ხვდებოდა მოსახლეობას და ჩაისახა სტაბილიზაციის გარკვეული იმედები. სწორედ ამ დროს მოხდა „მხედრიონის“ რაზმზე კარგად ორგანიზებული ტერორისტული თავდასხმა წალენჯიხის რაიონში, რომლის დროსაც მრავალი ადამიანი დაიღუპა და დასახიჩრდა, განადგურდა დიდძალი ქონება და, რაც მთავარია, ზ. გამსახურდიამ ამ თავდასხმით აისრულა საწადელი — დესტაბილიზაციამ სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში პიკის ზღვარს მიაღწია.

ტერორისტული ჯგუფების საქმიანობა გააქტიურდა თბილისშიც. ისინი მეტად ძვირად ღირებული და ძნელად საშოვნი ასაფეთქებელი მასალით (დაწნეხილი ტროტილით) მოამარაგეს ჩეჩნეთიდან ზ. გამსახურდიამ და მისმა გარემოცვამ და უზრუნველყვეს მათი საქართველოს ტერიტორიაზე ვერტმფრენებით გადატანა.

18 ივნისს ქ. თბილისში ჩიქოვანის ქუჩაზე თვითნაკეთი დისტანციური ასაფეთქებელი მოწყობილობის მეშვეობით აღნიშნულმა ჯგუფმა განახორციელა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჯ. იოსელიანის და მისი თანმხლები პირების აფეთქების მცდელობა. ბანდიტებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აფეთქებამ დააგვიანა, ტერორისტული აქტი ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი, მაგრამ აფეთქების შედეგად დაიღუპა და დასახიჩრდა მრავალი უდანაშაულო ადამიანი, დაინგრა საცხოვრებელი სახლები, განადგურდა მოქალაქეთა ქონება. ტერორისტთა ჯგუფმა მოასწრო იმ დღეებში გროზნოში მიმალვა. 1992 წლის 24 ივნისს განხორციელდა გროზნოში ზ. გამსახურდიას ხელმძღვანელობით დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომლის დროსაც შეიარაღებულმა ტერორისტებმა დაიკავეს საქართველოს ტელევიზიის და სატელევიზიო ანძის შენობები, გავიდნენ ეთერში და მოუწოდეს რესპუბლიკის მოსახლეობას, რომ ხელისუფლება დამხობილია და აღდგენილია ზ. გამსახურდიას საპრეზიდენტო მმართველობა. ამ ტერორისტული აქტის განხორციელებისას ასევე დაიღუპა და დაიჭრა არაერთი ადამიანი, მნიშვნელოვნად დაზიანდა და გაიძარცვა ტელერადიოცენტრის, ანძის შენობები და ტელერადიოაპარატურა.

მიმდინარე წლის ივნის-აგვისტოში დაიგეგმა და განხორციელდა სამეგრელოს ტერიტორიაზე სამშვიდობო მისიით ჩასული საქართველოს ხელისუფლებისა და მთავრობის მაღალი თანამდებობის პირების მძევლებად აყვანის უპრეცედენტო ტერორისტული აქტები, ცნობილი გახდა, რომ ტერორისტების ძირითადი ბაზა აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სადაც ასევე დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდათ უკანონოდ დატყვევებული მძევლები. მათთან მოლაპარაკების ცდებმა არავითარი შედეგი არ გამოიღო, მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, არანაირი ქმედითი ზომა არ გაატარა აფხაზეთის ხელისუფლებამ. საქართველოს ხელმძღვანელობა იძულებული იყო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაბა ლესელიძეში გადაეადგილებინა თავისი შეიარაღებული ძალები, რათა რუსეთ-საქართველოს საზღვრებიდან მოყოლებული ვიდრე სომხეთის საზღვრამდე დაეცვა სარკინიგზო, საავტომობილო თუ ენერგეტიკული კომუნიკაციები და ასევე გაეტარებინა ზომები ყოველდღიურად მზარდი ტერორისტული შემოტევების აღსაკვეთად და მძევლების გასათავისუფლებლად. როგორც ჩანს, ეს ფაქტი დაუპირისპირდა კონფედერაციის მიზნებს. ოჩამჩირის მახლობლად საქართველოს შეიარაღებული ძალების რაზმებს ცეცხლი გაუხსნა ე. წ. აფხაზურმა გვარდიამ, რომელიც უკანონოდ იყო ფორმირებული მხოლოდ აფხაზი ეროვნების პირებისაგან. დაიღუპნენ და დაიჭრნენ ადამიანები. სოხუმის მისადგომებთან საქართველოს შეიარაღებულ ძალებს აფხაზებთან ერთად უკვე ადიღე, ჩეჩენი თუ სხვა უცხო სახელმწიფოდან წინასწარ შემოყვანილი უკანონოდ შეიარაღებული დაქირავებული მებრძოლები დახვდნენ და ცეცხლი გაუხსნეს. შეიარაღებულ კონფლიქტს დაუყოვნებლივ მოჰყვა კონფედერაციის უპრეცედენტო მუქარა საქართველოს მიმართ ომის გამოცხადების, დაუნდობელი ტერორისტული საქმიანობის გაჩაღების და ყველა ქართველი ეროვნების პირის მძევლად გამოცხადების შესახებ. საქართველოს ტერიტორიაზე გამიზნულად შემოიგზავნა ათასობით დაქირავებული ჩრდილოკავკასიელი „ბოევიკი“, რომელნიც დღემდე წინა ხაზზე იბრძვიან საქართველოს წინააღმდეგ. მიუხედავად მოსკოვის 3 სექტემბრის შეთანხმებისა, მთიელთა კონფედერაციის რაზმები და მათი აფხაზი დამქირავებლები არ წყვეტენ საბრძოლო მოქმედებას აფხაზეთში, რაშიც მათ, სამწუხაროდ, როგორც ბოლო მონაცემებით ირკვევა, აქტიურად უჭერენ მხარს იარაღით და ცოცხალი ძალით რუსეთის არმიის წარმომადგენლები.

ა/წ აგვისტოში ყვარლის ტყეში აღმოჩენილი იქნა ტერორისტთა დიდი ჯგუფი, რომელიც მოქმედებდა ზ. გამსახურდიას უშუალო მითითებათა შესასრულებლად. ჯგუფის წევრები კარგად იყვნენ შეიარაღებული. ისინი ჯერ გადაიყვანეს გროზნოდან ბაქოში. ცხადი გახდა, რომ კონფედერაციის მუსულმანურ ალიანსში ჩართული არიან აზერბაიჯანის გარკვეული წრეები, რომელთაც ზ. გამსახურდიასთან მოლაპარაკების თანახმად, შეაიარაღეს ტერორისტული ჯგუფი და უზრუნველყვეს მათი ვერტმფრენებით ტრანსპორტირება საქართველოს ტერიტორიაზე. ზ. გამსახურდიასათვის ზოგიერთი ყოფილი თანამდებობის პირის მიერ მიცემული პირობა, რომ კახეთის მოსახლეობა მათ გვერდით დადგებოდა, არ გამართლდა. მოსახლეობა ცალსახად დაუპირისპირდა ტერორისტებს და აქტიური მონაწილეობა მიიღო მათი უვნებელყოფის ოპერაციებში. ჯგუფში მრავლად აღმოჩნდნენ „სტაჟიანი“ ტერორისტები, მათ შორის 18 ივნისის ტერორისტული აქტის ერთ-ერთი ამსრულებელი დოკვაძე, რომელიც ყვარელში ხელმძღვანელობდა რაზმს. ამ ჯგუფმა დაკავებამდე მოასწრო ყვარლის რაიონში ბანდიტური თავდასხმის განხორციელება და ადამიანის მოტაცება. აღნიშნული ბანდიტების საქმიანობა ზ. გამსახურდიას დივერსიული გეგმის მხოლოდ ნაწილი იყო, რომელსაც ტერორისტული საქმიანობის ბაზის შექმნა უნდა მოჰყოლოდა აღმოსავლეთ საქართველოში. საბედნიეროდ, ამ გეგმას შესრულება არ ეწერა. საქმის გამოძიება გრძელდება.

(დასასრული მე-5 გვ.)

საქართველო — თურქეთი: ხელშეკრულება რატიფიცირებულია

თურქეთის პარლამენტმა 24 სექტემბერს განიხილა და დაამტკიცა 1992 წლის 30 ივლისს თბილისში საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ“, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ და თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა სულეიმან დემირელმა.

რატიფიცირებული ხელშეკრულების თურქული და ქართული ტექსტები, რომლებსაც თურქეთის პრეზიდენტი ბატონი თურგუთ ოზალი, თურქეთის პრემიერი ბატონი სულეიმან დემირელი და მთავრობის ყველა წევრი აწერენ ხელს, არსებული წესის შესაბამისად დაიბეჭდა თურქეთის ოფიციოზში „რესმი გაზეთში“ (1992 წლის 29 სექტემბერი) და მას კანონის (21310) ძალა მიეცა.

ამ გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწერა საქართველო-თურქეთის კეთილმეზობლურ ურთიერთობაში, რომელიც დღიდან თანამშრომლობისა საიმედოობასა და რეალობას ეყრდნობა. ამის გარანტიას იძლევა ის ვალდებულებები, რომლებიც ორივე სახელმწიფომ იკისრა ხელშეკრულების დადების დროს. ქართველი მკითხველი სულ ახლახან გაეცნო ხელშეკრულების ტექსტს, რომელიც გაზეთ „ხიდის“ მესამე ნომერში დაიბეჭდა. მაინც სასარგებლოდ მიგვაჩნია შევახსენოთ ზოგიერთი მუხლი, რომელიც ახალი შინაარსით ამდიდრებს ჩვენს ისტორიულ კავშირურთიერთობას. უწინარეს ყოვლისა ეს გახლავთ მხარეების ფუნდამენტური ვალდებულებები პატივი სცენ ორივე ქვეყნის სუვერენულ სტატუსს, დაეყრდნონ დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს (პრეამბულა), განავითარონ კავშირურთიერთობა საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი პრინციპების, ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის საფუძველზე (მუხლი 1), ყველა საკითხი გადაჭრან პოლიტიკური საშუალებებით, ერთად იზრუნონ უსაფრთხოების და ნდობის სისტემის იდეის განხორციელებისთვის (მუხლი 2), ურთიერთობათა შეთანხმებულად წარმართვის უზრუნველყოფისთვის პერიოდულად გამართონ კონსულტაციები ორივე მხარისათვის საინტერესო რეგიონალურ და საერთაშორისო საკითხებზე (მუხლი 3). საკუთარ ტერიტორიაზე არ დაუშვან ისეთ ორგანიზაციათა, დაჯგუფებათა თუ პიროვნებათა მოქმედება, რომლებიც მიზნად ისახავენ მეორე მხარის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, კონსტიტუციური წყობილების ძალით შეცვლას (მუხლი 13) და სხვა.

ნაკისრ ვალდებულებათა სხვა ანალიზი, რა თქმა უნდა, მათი აუცილებელი რეალიზაციის პირობით, გვაძლევს უფლებას იმედი ვიქონიოთ, რომ ჰორიზონტიდან საშიშროება არ გვემუქრება. თურქეთის მხარისათვის აღნიშნული ხელშეკრულება, მისი კანონმდებლობის შესაბამისად უკვე დამტკიცებულია, ძალაში შევიდა და მოქმედებს. ახლა აუცილებელია თურქეთის ხელისუფლებამ ყველა თავისი პრაქტიკული ღონისძიება და განცხადება, რომელიც თურქეთ-საქართველოს ურთიერთობას ეხება, ამ კანონით დადგენილ პრინციპებს შეუჯეროს. ჩვენ გვწამს, რომ მეზობელ თურქეთში კარგად იცნობენ საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ კანონი კანონია, ხოლო ამ კანონის უზენაესობა და ქმედითობა ჩვენი მხარისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოსათვის ამ უკიდურესად მძიმე დღეებში.

ნოდარ კომახიძე.

იქნებ, ახლა მაინც!..

ქართველ მწერალთა საარჩევნო მოწოდება

საქართველოს მწერალთა კავშირი მოუწოდებს რესპუბლიკის ამომრჩევლებს 11 ოქტომბერს უკლებლივ ყველანი გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებში და ხმა მისცენ მათთვის სასურველ ადამიანებს. დღევანდელი სიტუაციისა და ცხოვრების დაძაბული რიტმის მოთხოვნაა, შეიქმნას ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და ჩამოყალიბდეს კანონიერი მთავრობა.

იმის ახსნა-განმარტება, თუ დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის რა მნიშვნელობა აქვს კანონიერ პარლამენტსა და მთავრობას, ზედმეტად მიგვაჩნია.

ვიტყვით მხოლოდ ერთს, ვიტყვით ხალხისათვის კარგად ცნობილ ფაქტს, მაგრამ, ვფიქრობთ, დღეს მისი კვლავ განმეორება, რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ერთდაგვარად შეჯამებული სახით მისი შეხსენება აუცილებელია.

ბევრს არ უნდა, რომ საქართველოში ჩატარდეს არჩევნები და რესპუბლიკა, ბოლოს და ბოლოს, გამოვიდეს შოკის მდგომარეობიდან. ბევრს არ უნდა საქართველოში ფართო მასშტაბის პოლიტიკური თუ ეკონომიკური საქმიანობისათვის შეიქმნას მშვიდი, ნორმალური, ადამიანური პირობები.

ვინ არიან ისინი?

რუსეთი ზოგიერთი თავისი ავტონომიური ერთეულებით და მისგანვე წაქეზებული აფხაზეთი და ოსეთი. ხაზგასმით გვინდა ვთქვათ: საქართველოში არჩევნების ჩატარება და რესპუბლიკაში ნორმალური ვითარების შექმნა არ სურთ რუსეთის რეაქციულ ძალებს. ბევრი ვარაუდობს, ელცინს სწორი პოზიცია უჭირავს, მაგრამ მოწინააღმდეგეებთან ვერაფერი გააწყოო. გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ ვფიქრობთ და არც თუ უსაფუძვლოდ, იგი მთელი ამ დროის მანძილზე შენიღბული მოქმედებდა, ხოლო ამჟამად საკმაოდ გამოკვეთილად განაცხადა, რუსეთის ჯარები სარკინიგზო წესრიგს დაიცავენ რუსეთ-აფხაზეთის საზღვრებიდან აფხაზეთ-საქართველოს საზღვრებამდეო. როგორ უნდა გავიგოთ ბატონი პრეზიდენტის ფორმულირება? ან როგორ უნდა გავიგოთ მისი განცხადება, რუსეთი ყველა რუსი მოქალაქის ინტერესს დაიცავს, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენო?! ეს ხომ მხოლოდ საქართველოს მისამართით და ქართველების გასაგონად იყო ნათქვამი!

გვინდა ვკითხოთ ბატონ პრეზიდენტს, გვინდა ვკითხოთ საქართველოში მცხოვრებ ნახევარ მილიონ რუსს, რაიმე საფრთხე ელოდათ ან ელით ქართველების მხრიდან?

უფრო სწორი ხომ არ იქნება, ვივარაუდოთ, რომ რუსეთის რეაქციულ ძალებს შიში შეეპარათ, არ დაკარგონ საქართველოს სტრატეგიული ტერიტორია, შიში შეეპარათ მათ ნაცვლად სხვა რომელიმე ძლიერმა ქვეყანამ არ პოვოს აქ დასაყრდენი.

გავაანალიზოთ კიდევ ერთი ფაქტი.

რვაასზე მეტი მშვიდობიანი ქართველი დახვრიტეს გაგრაში აფხაზებმა და ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა ბანდიტებმა, დახვრიტეს სადისტური წამების შემდეგ. ზოგი ცოცხლად დამარხეს, ზოგი ცოცხლად დაწვეს, ზოგი ცოცხალ სამიზნედ გაიხადეს.

უპატრონო მიცვალებულებს ათასგვარი შეურაცხყოფა მიაყენეს და ისე ჩაყარეს ორმოებში, ნაწილი ბულდოზერებით შეაგროვეს და ცეცხლი წაუკიდეს.

სად არიან რუსეთის პროგრესული ძალები? რატომ არაფერს ამბობს რუსეთის პრეზიდენტი და პროგრესული ფრთის ლიდერი ბორის ელცინი? რატომ არაფერს ამბობენ, ვისგან და როგორ დაირღვა მოსკოვის სამი სექტემბრის შეთანხმება?!

საქართველოში არჩევნების ჩატარება არ სურთ მთიელთა კონფედერაციის ქვეყნებს. მათი მიზანი აშკარაა და ნათელი, გავიხსენოთ, ჯერ კიდევ როდის გამოაცხადეს სოხუმი კონფედერაციის დედაქალაქად. ისინი ზღვაზე გასასვლელს ეძებენ, რომ შემდეგ საბოლოოდ განდევნონ რუსები (აი, მაშინ კი მიხვდებიან რუსი რეაქციონერები, თუ ჯერ ვერ მიმხვდარან, როგორ გამოეცლებათ ხელიდან კიდევ რამდენიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანა).

ნუთუ არაფერს გვეუბნება როგორი პასპორტებით მოდიან დაქირავებული მკვლელები აფხაზეთში? განა დაგეგმილი არ არის, ქართველთა სახლებში რომ უნდა იცხოვრონ გადამთიელმა ნაძირალებმა და რაც შეიძლება ფართო დერეფანი გაიკეთონ შავი ზღვისაკენ?

მათ ხომ მშვენივრად იციან, ქვეყანაში, რომელსაც მართავს დროებითი მთავრობა, იოლია წყლის ამღვრევა, ხოლო ამღვრეულ წყალში იოლია თევზის დაჭერა!

არჩევნების ჩაშლა სურთ აფხაზებს, ოსებს, სამწუხაროდ, ისინი ვერ ხედავენ, ვერ სწვდებიან და ვერ გრძნობენ რეაქციონერთა ნამდვილ ზრახვებს. ვერ ვარაუდობენ, რა შედეგი მოჰყვება მათ უგუნურ და მუხანათურ ქმედებას.

ნუთუ დღესაც ვერ ხედავენ და ვერ გრძნობენ ჩვენივე ქართველები, ერთ დროს რომ მთელი არსებით და გაშმაგებით უპირისპირდებოდნენ რუსებს და კომუნისტებს, აფხაზებს და ოსებს, საერთოდ, საქართველოს მტრებს, და, თანაც კრემლის აგენტებად და საქართველოს მტრებად რომ აცხადებდნენ ყოველი განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს?! საქართველოს ერთობასა და ძლიერებაზე რომ გაჰკიოდნენ მთელი ძალ-ღონით, თვითონ რომ აღმოჩნდნენ საქართველოს მტრების გვერდით?!

ნუთუ ვერ ხვდებიან, მათი გამთიშავი და უგუნური საქციელითაა გათამამებული მტერი, ასე გააზრებულად და თანმიმდევრულად რომ უტევს საქართველოს?!

ნუთუ ისინი დღესაც არ მოეგებიან გონს?! ნუთუ მათ არაფრად უღირთ ამდენი ათასი დახვრეტილი, გაუპატიურებული, ნაწამები ქართველი?! ნუთუ არაფრად უღირთ, საქართველო რომ ბნელი ხალხის საჯიჯგნ ობიექტად გადაიქცა, ხოლო ქვეყნის ერთიანობას, ქვეყნის მთლიანობას რეალური და საშიში საფრთხე დაემუქრა?! ნუთუ სულ ჩაკვდა მათში ეროვნული სიამაყის გრძნობა?

ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ისინი საქართველოს დაუძინებელ მტრებთან რუსეთის რეაქციულ ძალებთან, აფხაზ სეპარატისტებთან და ეგრეთწოდებულ მთიელი ხალხების უკანონო კონფედერაციასთან ხელჩაკიდებულნი იბრძვიან საქართველოს, მშობელი ერის წინააღმდეგ? ნუთუ ვერ ხვდებიან, მათ საქციელს როგორ შეაფასებს ისტორია და შთამომავლობა?!

იქნებ ახლა მაინც მოვეგოთ გონს, იქნებ ახლა მაინც მივხვდეთ, რა ელის საქართველოს, იქნებ ახლა მაინც გავერთიანდეთ და ვიმოქმედოთ ქვეყნისა და ერის გადასარჩენად.

კარგად უნდა გვახსოვდეს, არჩევნებში მონაწილეობა, არჩევნების ჩატარება ყოველი ქართველის, საქართველოს ყველა მოქალაქის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ვალია!

საქართველოს მწერალთა კავშირი.

კარიკატურისტის კომენტარი



ექსპრეზიდენტის „კიბე“.

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს პარლამენტის არჩევნებიდან პირადი განცხადებების საფუძველზე მოხსნილი არიან შემდეგი დეპუტატობის კანდიდატები

საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული პარტია

ცირეკიძე ლეილა ემელიანეს ასული — 9 მრავალმანდატიანი ოლქი

• • •

დევნოზაშვილი სევერიან ნიკოლოზის ძე — 4/24 დმანისის საარჩევნო ოლქი

პეტრაშვილი ტრისტან სიმონის ძე — 5/38 ადიგენის საარჩევნო ოლქი.

ბარუნაშვილი ანტონ პავლეს ძე — 5/38 ადიგენის საარჩევნო ოლქი

ზაზაშვილი შოთა პეტრეს ძე — 5/38 ადიგენის საარჩევნო ოლქი.

ბურდული პაატა შალვას ძე — 5/28 დუშეთის საარჩევნო ოლქი.

კარიაული დავით ბეინის ძე — 5/28 დუშეთის საარჩევნო ოლქი.

• • •

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პარტიულ სიაში კანდიდატის გვარი გამოქვეყნდა შეცდომით. 3 მრავალმანდატიან ოლქში № 5 კანდიდატის გვარი უნდა იკითხებოდეს: ციცო სერგოს ასული მოლაშვილი-დათუკიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროებითი დებულება

სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ

დროებითი დებულება განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის პირობებს, ნორმებს, წესსა და მისი დანიშნულებაა აღნიშნულ პირთა ინტერესების დაცვა.

თავი I
ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. საპენსიო უზრუნველყოფის სახეები

ოფიცრებს, ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს და სამხედრო მოსამსახურეებს კონტრაქტით, თუ მათ აქვთ ამ დროებითი დებულებით დადგენილი სამხედრო სამსახურში წელთა ნამსახურობა, უფლება აქვთ მიიღონ მუდმივი პენსია წელთა ნამსახურობისათვის.

სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც დაინვალიდდნენ ამ დროებითი დებულებით გათვალისწინებულ პირობებში, უფლება აქვთ მიიღონ ინვალიდობის პენსია.

სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის ან გარდაცვალების შემთხვევებში მისი ოჯახის წევრებს უფლება აქვთ მიიღონ პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო.

მუხლი 2. პენსიის დანიშვნის პირობები

სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც ამ დროებითი დებულების თანახმად საპენსიო უზრუნველყოფის უფლება აქვთ, პენსია დაენიშნებათ და მიეცემათ სამხედრო სამსახურიდან რეზერვში გასვლის ან გადადგომის შემდეგ.

სამხედრო მოსამსახურეებს ინვალიდობის, ხოლო მათი ოჯახების წევრებს მარჩენალის დაკარგვის გამო პენსია დაენიშნებათ სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობის მიუხედავად.

მუხლი 3. საპენსიო უზრუნველყოფის უფლების მქონე პირები.

ამ დროებითი დებულებით დადგენილი საპენსიო უზრუნველყოფის პირობები, ნორმები და წესები ვრცელდება შემდგომ პირებზე:

ა) საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებზე, სამხედრო წოდების მქონე საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს ოპერატიულ მუშაკებსა და მათი ოჯახების წევრებზე;

ბ) სასწავლო ან სპეციალურ შეკრებებზე რეზერვიდან გაწვეულ პირებსა და მათი ოჯახების წევრებზე;

გ) ნებაყოფლობით სამხედრო სამსახურში კონტრაქტით მიღებულ რიგითებზე, მატროსებზე, სერჟანტებზე, ზემდეგებზე, მიჩმან ქალებზე, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებზე;

დ) საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობაზე, შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახების წევრებზე;

ე) ყოფილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგითი და უფროსი შემადგენლობის, ყოფილი სსრ კავშირის შინაგანი ჯარების პენსიონრებსა და მათი ოჯახების წევრებზე;

ვ) გარდაცვლილ პენსიონერთა ოჯახების წევრებზე.

მუხლი 4. სამხედრო მოსამსახურეთათვის პენსიის დანიშვნის საფუძვლები

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცრებს, ზემდეგებს (მიჩმანებს), სერჟანტებს, რიგითებს (მატროსებს), ზევადიან და კონტრაქტით მომსახურე სამხედრო მოსამსახურეებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი და რიგითი შემადგენლობის პირებს, შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე ყოფილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი და რიგითი შემადგენლობების პირებს და სსრ კავშირის შინაგანი ჯარების პენსიონერებს და მათი ოჯახების წევრებს პენსია ენიშნებათ ამ დროებითი დებულებით დადგენილი პირობების, ნორმებისა და წესების დაცვით.

პენსიის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება ამ პირთა სამსახურიდან გასვლის წინ ყოველთვიური თანამდებობრივი, სამხედრო (ან სპეციალური) წოდების, წელთა ნამსახურების პროცენტული დანამატის ფულადი სარგოების ოდენობა.

პენსია არ ენიშნებათ სასამართლოს წესით სამხედრო და სპეციალურ წოდებაჩამორთმეულ პირებს.

მუხლი 5. პენსია გარდაცვლილ პენსიონერთა ოჯახების წევრებისათვის

გარდაცვლილ პენსიონერთა ოჯახების წევრებს უფლება აქვთ მიიღონ პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო იმავე საფუძველზე, რომელიც დადგენილია სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების წევრებისათვის.

მუხლი 6. პენსიის არჩევის უფლება

ამ დროებითი დებულების მე-2 — მე-5 მუხლებში ჩამოთვლილ პირებს, რომელთაც ერთდროულად აქვთ სხვადასხვა სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება, მათი არჩევით ენიშნებათ ერთ-ერთი პენსია.

მუხლი 7. პენსიების გადახდის სახსრები, პენსიების გადასახადისაგან გათავისუფლება

პენსიების გადახდას უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკა თავისი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან. პენსიები გადასახადით დაბეგვრას არ ექვემდებარება.

მუხლი 8. დახმარების გადახდა

ამ დროებითი დებულების მე-2, მე-5 მუხლებში ჩამოთვლილ პირებს სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ ეძლევათ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი ერთდროული ფულადი დახმარება.

მუხლი 9. საპენსიო უზრუნველყოფის ორგანოები

ამ დროებითი დებულებით დადგენილი პირების საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს მიერ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ამ დროებითი დებულებით დადგენილი პირობების, ნორმებისა და წესების დაცვით.

თავი II
წელთა ნამსახურობის პენსია

მუხლი 10. წელთა ნამსახურობის პენსიის დანიშვნის პირობები

წელთა ნამსახურობის პენსია დაენიშნებათ:

ა) ოფიცრებს, ზევადიან და კონტრაქტით მომსახურე სამხედრო მოსამსახურეებს (ზემდეგებს, მიჩმანებს, სერჟანტებს, რიგითებს, მატროსებს), შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებს, რომლებსაც სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობის 15 და მეტი წელი;

ბ) ოფიცრებს, ზევადიან და კონტრაქტით მომსახურე სამხედრო მოსამსახურეებს (ზემდეგებს, მიჩმანებს, სერჟანტებს, რიგითებს, მატროსებს) შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირებს, რომლებიც დათხოვნილი არიან სამსახურიდან ასაკის, ავადმყოფობის, შტატების შემცირების გამო ან ჯანმრთელობის შეზღუდული მდგომარეობის საფუძველზე, თუ მათ სამსახურიდან დათხოვნის დღისთვის შეუსრულდათ 50 წელი და ამავე დროს აქვთ შრომის საერთო სტაჟი 20 და მეტი კალენდარული წელი, რომელთაგანაც არანაკლებ 10 წლისა იმყოფებოდნენ სამხედრო ან შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურში;

გ) იმ პირებს, რომლებიც გადიოდნენ სამხედრო სამსახურს ყოფილ სსრ კავშირის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ან სხვა უცხო ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში. აგრეთვე ყოფილი სსრ კავშირისა და საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში, ხოლო შემდგომ მიღებული იქნენ სამსახურში საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ან შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ან სამსახურებრივი საჭიროების მიზნით გადაყვანილ იქნენ ერთი უწყებიდან მეორეში.

ამ პუნქტში აღნიშნულ პირებს ყოფილი სსრ კავშირის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ან სხვა უცხო ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში, აგრეთვე ყოფილი სსრ კავშირის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში ნამსახურობის წლები პენსიაზე გასვლისას ჩაეთვლებათ საერთო წელთა ნამსახურობაში;

დ) იმ პირებს, რომლებმაც გაიარეს სამსახური ყოფილი სსრ კავშირის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შეიარაღებულ ძალებში, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში და ამჟამად ღებულობენ შესაბამისი უწყებებისაგან პენსიებს.

ამ პუნქტში აღნიშნულ პენსიონერებს პენსიების ოდენობა განესაზღვრებათ ამჟამად არსებული თანამდებობრივი, სამხედრო (ან სპეციალური) წოდების და წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატის ფულადი სარგოების გათვალისწინებით.

მუხლი 11. პენსიის ოდენობა

მე-10 მუხლის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილ პირებს, რომელთაც აქვთ 15 და მეტი კალენდარული წელთა ნამსახურობა, პენსია ენიშნებათ შემდეგი ოდენობით:

ა) 15 წლის ნამსახურობისათვის — თანამდებობრივი და სამხედრო წოდების ყოველთვიური ფულადი სარგოების 40 პროცენტი, ავადმყოფობით ან ასაკის გამო სამსახურიდან გასვლის შემთხვევებში — თანამდებობრივი და სამხედრო წოდების ყოველთვიური ფულადი სარგოების 45 პროცენტი.

15 წლის ზევით ნამსახურობის ყოველ წელიწადზე პენსიას ემატება თანამდებობრივი და სამხედრო წოდების ყოველთვიური ფულადი სარგოების 3 პროცენტი, იმ გაანგარიშებით, რომ პენსიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ თანხების 75 პროცენტს;

ბ) მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტში ჩამოთვლილ პირებს პენსიის ოდენობა განესაზღვრებათ: 20 წლის საერთო შრომის სტაჟზე — თანამდებობრივი და სამხედრო წოდების ყოველთვიური ფულადი სარგოების 40 პროცენტი, საერთო სტაჟის ზევით; ყოველ წელიწადზე — თანამდებობრივი და სამხედრო წოდების ყოველთვიური ფულადი სარგოების 1 პროცენტი დანამატი იმის გათვალისწინებით, რომ პენსიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ თანხების 75 პროცენტს;

გ) მე-10 მუხლის „გ“ პუნქტში ჩამოთვლილ პირებს წელთა ნამსახურობის პენსია ენიშნებათ ამ მუხლის „ა“ პუნქტში დადგენილი პირობების დაცვით და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებიდან ან შინაგან საქმეთა ორგანოებიდან გასვლისას მათი პენსიის ოდენობა არ აღემატება მათ თამამდებობრივ და სამხედრო (სპეციალურ) წოდებების ფულადი სარგოების 75 პროცენტს.

მე-10 მუხლის „დ“ პუნქტში ჩამოთვლილ პირებს წელთა ნამსახურობის პენსიის ოდენობა განესაზღვრებათ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან პენსიაზე გასულ პირთათვის ამჟამად არსებული თანამდებობრივი, სამხედრო (ან სპეციალური) წოდების და წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატის ფულადი სარგოების გათვალისწინებით, მაგრამ პენსია არ უნდა აღემატებოდეს ამ თანხების 75 პროცენტს.

მუხლი 12. პენსიის მინიმალური ოდენობა.

ამ დროებითი დებულებით დადგენილი წელთა ნამსახურობის პენსიის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილ ასაკის გამო მინიმალური პენსიის ოდენობაზე.

მუხლი 13. პენსია განსაკუთრებული დამსახურებისათვის

მე-10 მუხლში ჩამოთვლილ პირებს, რომელთაც აქვთ საქართველოს რესპუბლიკის წინაშე განსაკუთრებული დამსახურება, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით სამხედრო სამსახურიდან გასვლისას ენიშნებათ თანამდებობრივი და სამხედრო წოდების ყოველთვიური სარგოების 100 პროცენტის ოდენობის პენსია.

მუხლი 14. დანამატი წელთა ნამსახურობის პენსიაზე

ნამსახურობისათვის და ასაკის გამო მინიმალური ოდენობის პენსიებზე ერიცხება დანამატი იმ შემთხვევაში თუ:

ა) არამომუშავე პენსიონერის კმაყოფაზე იმყოფებიან შრომისუუნარო ოჯახის წევრები და პენსიონერი უზრუნველყოფს მათ პენსიით. ოჯახის წევრებს მარჩენლის დაკარგვის გამო — თითოეულ შრომისუუნარო ოჯახის წევრზე სოციალური პენსიის ოდენობით, რომელიც ენიშნება შრომისუუნარო პირებს. ამ შემთხვევაში დანამატი დაერიცხება მხოლოდ ოჯახის იმ წევრზე, რომელიც არ ღებულობს წელთა ნამსახურობის ან სოციალურ პენსიას. თუ ერთდროულად არსებობს სოციალური პენსიისა და წელთა ნამსახურობის პენსიაზე შრომისუუნარო ოჯახის წევრისათვის დანამატის დანიშვნის პირობები, მაშინ პენსიონერის არჩევით, ოჯახის წევრს დაენიშნება სოციალური პენსია, ან პენსიონერის პენსიას დაერიცხება დანამატი ოჯახის ამ წევრზე;

ბ) I ჯგუფის ინვალიდი, ან ინვალიდი ჯგუფის მიუხედავად თუ ინვალიდობა დაკავშირებულია მხედველობის დაქვეითებასთან ან მარტოხელა პენსიონერი, რომელმაც მიაღწია 80 წლის ასაკს, საჭიროებს სხვის დახმარებას, ამ შემთხვევაში მოვლისათვის მას დაენიშნება დანამატი ასაკის გამო მინიმალური პენსიის 50 პროცენტი.

ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში გათვალისწინებული დანამატები შეიძლება დაერიცხოს ერთდროულად.

მუხლი 15. წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება

წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად რეზერვში იქნა გაშვებული ან გადადგა სამხედრო სამსახურიდან.

იმ პირებს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამსახურის სისტემაში გადაყვანილ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების შესაბამისად, ნამსახურობის სტაჟი დაუდგინდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამტკიცებული წესით.

თავი III
ინვალიდობის პენსია

მუხლი 16. პენსიის დანიშვნის პირობები

ინვალიდობის პენსია ენიშნებათ სამხედრო მოსამსახურეებს შინაგან საქმეთა ორგანოების, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების მუშაკებს, თუ ისინი დაინვალიდდნენ სამხედრო და ოპერატიული სამსახურის პერიოდში ან არაუგვიანეს სამი თვისა სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ან თუ დაინვალიდდნენ ამ ვადაზე უფრო გვიან, მაგრამ სამსახურის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან ავადმყოფობის გამო.

მუხლი 17. ინვალიდობის დადგენა

ინვალიდობის ჯგუფის და მიზეზების დადგენა ხდება სამხედრო-საექიმო კომისიის მიერ.

შრომისუუნარობის დაკარგვის ხასიათის მიხედვით დგინდება ინვალიდობის სამი ჯგუფი: I, II და III ჯგუფები.

მუხლი 18. ინვალიდობის მიზეზები

ინვალიდობის მიზეზებია:

ა) საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის, საბრძოლო ვითარებაში ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობა, კონტუზია, დასახიჩრება;

ასეთი ინვალიდები ითვლებიან ომის ინვალიდებად.

ბ) დაავადება, დასახიჩრება, რომელიც დაკავშირებული არ არის სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებასთან.

მუხლი 19. პენსიების ოდენობა

სამხედრო მოსამსახურეებს, შინაგან საქმეთა ორგანოების და ყოფილი სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებს ინვალიდობის პენსია ენიშნებათ შემდეგი ოდენობით:

ა) I და II ჯგუფების ინვალიდებს — მათი ყოველთვიური ფულადი კმაყოფის (თანამდებობრივი, სამხედრო (სპეციალური) წოდების და წელთა ნამსახურობის (პროცენტული დანამატი) არა უმეტეს 75 პროცენტისა.

ბ) III ჯგუფის ინვალიდებს — მათი ყოველთვიური ფულადი კმაყოფის (თანამდებობრივი, წელთა ნამსახურობის, სამხედრო (სპეციალური) წოდების ფულადი სარგოები) 60 პროცენტი.

მუხლი 20. მინიმალური პენსიის ოდენობა ინვალიდობის მინიმალური პენსიის ოდენობა:

ვადიანი სამხედრო სამსახურის რიგითებისა და მატროსების I და II ჯგუფების ინვალიდებისათვის განისაზღვროს ასაკის გამო დადგენილი მინიმალური პენსიის 200 პროცენტის ოდენობით, ხოლო III ჯგუფის ინვალიდებისათვის — 150 პროცენტის ოდენობით.

ვადიანი სამხედრო სამსახურის სერჟანტების, ზემდეგების, მიჩმანებისათვის განისაზღვრება ასაკის გამო დადგენილი მინიმალური პენსიის 250 პროცენტის ოდენობით, ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეთათვის — 300 პროცენტი, ხოლო ოფიცრებისათვის — 400 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 21. ინვალიდთა კატეგორიებისათვის პენსიების გაზრდა

ამ დროებითი დებულების მე-19 და მე-20 მუხლებით გათვალისწინებული ოფიცრების, ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეების, ყოფილი სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსი და რიგით პირთათვის ასაკის გამო მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები პენსია ყოველთვიურად იზრდება — 25 პროცენტით. ამასთან, გაზრდილი პენსია არ უნდა აღემატებოდეს მე-20 მუხლით დადგენილ პენსიის ოდენობას.

საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაინვალიდებულ სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაც არა აქვთ უფლება პენსიისა და დანამატისა მოვლისათვის, რაც გათვალისწინებულია ამ დროებითი დებულებების 23-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, პენსიის მინიმალური ოდენობა ასაკის გამო ეზრდებათ 40 პროცენტით.

მუხლი 22. ინვალიდობის პენსიის დანიშვნა ასაკის გამო ან წელთა ნამსახურობის ფარგლებში

I და II ჯგუფების სამხედრო მოსამსახურე ინვალიდებს, რომელთაც აქვთ ასაკის გამო პენსიის დანიშვნის სამუშაო სტაჟი (მათ შორის შეღავათიანი პირობებით) ინვალიდობის პენსია შეიძლება დაენიშნოთ შესაბამისი სამუშაო სტაჟის გათვალისწინებით ასაკის გამო, რაც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთათვის შესაბამისი ნორმატიული აქტით.

თუ I და II ჯგუფების ინვალიდებს ოფიცერთა, ზევადიანი, კონტრაქტით მომსახურე სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების უფროს და რიგით პირთა რიცხვიდან აქვთ წელთა ნამსახურობა სათანადო პენსიის მისაღებად, მაშინ მათ ინვალიდობის პენსია შეიძლება დაენიშნოთ წელთა ნამსახურობის პენსიის ფარგლებში.

მუხლი 23. დანამატი ინვალიდობის პენსიაზე

სამხედრო მოსამსახურის ინვალიდობის პენსიას (მათ შორის მინიმალური ოდენობის პენსიას) დაერიცხება შემდეგი დანამატები:

ა) არამომუშავე I და II ჯგუფების ინვალიდ-პენსიონერებს, რომელთა კმაყოფაზე იმყოფებიან შრომისუუნარო ოჯახის წევრები და პენსიონერი უზრუნველყოფს მათ პენსიით, ოჯახის წევრებს მარჩენალის დაკარგვის გამო თითოეულ შრომისუუნარო ოჯახის წევრზე სოციალური პენსიის ოდენობით. ამასთან, დანამატი დაირიცხება მხოლოდ ოჯახის იმ წევრზე, რომელიც არ ღებულობს შრომის ან სოციალურ პენსიას. თუ ერთდროულად არსებობს სოციალური პენსიისა და წელთა ნამსახურობის პენსიაზე შრომისუუნარო ოჯახის წევრისათვის დანამატის დანიშვნის პირობები, მაშინ ინვალიდის არჩევით, ოჯახის წევრს დაენიშნება სოციალური პენსია, ან ინვალიდი პენსიონერის პენსიას დაერიცხება დანამატი ოჯახის ამ წევრზე;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის და მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაინვალიდებულ I ჯგუფის ინვალიდებს, მხედველობის დაკარგვის გამო I ჯგუფის ინვალიდებს — 100 პროცენტი, აგრეთვე I ჯგუფის სხვა ინვალიდებს და II ჯგუფის მარტოხელა ინვალიდებს 60 პროცენტი ასაკის გამო დადგენილი მინიმალური პენსიის თანხებიდან.

ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში გათვალისწინებული დანამატები შეიძლება დაირიცხოს ერთდროულად.

მუხლი 24. ინვალიდობის პენსიის დანიშვნის და გაცემის ვადები

სამხედრო მოსამსახურეებს დადგენილი სამხედრო-საექიმო კომისიის მიერ ინვალიდობის პენსია ენიშნებათ ინვალიდობის მთელი ვადით და ინვალიდებს — მამაკაცებს 60 წლის ზევით და ქალებს 55 წლის ზევით — მუდმივად. ამ ინვალიდების ხელახლა სამედიცინო შემოწმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მათი განცხადების საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ინვალიდობით პენსიონერი, რომელსაც არა აქვს საპენსიო ასაკი, შრომის უნარიანად ჩაითვლება, პენსია მას მიეცემა თვის ბოლომდე, რომელშიც იგი შრომისუუნარიანად იქნა მიჩნეული, მაგრამ არა უმეტეს იმ დღისა, როდესაც მას ინვალიდობა დაუდგინდა.

მუხლი 25. ინვალიდობის ჯგუფის შეცვლისას პენსიის ხელახლა გაანგარიშება

ინვალიდობის ჯგუფის შეცვლა პენსიის დანიშვნის შემდეგ იწვევს პენსიის ოდენობის შეცვლას. ამასთან, თუ ომის ინვალიდის ინვალიდობა უკავშირდება საერთო დაავადებას, მაშინ ხდება პენსიის გაანგარიშება ახალ ინვალიდობასთან დაკავშირებით მისი დანიშვნის მიზეზების შენარჩუნებით.

მუხლი 26. პენსიის გაცემის აღდგენა ინვალიდობის შეწყვეტის შემთხვევაში

თუ სამხედრო მოსამსახურე ინვალიდმა გააცდინა ხელახლა შესამოწმებელი ვადა სამედიცინო კომისიაში, პენსიის გაცემა მას შეუწყდება კომისიის დასკვნამდე და მისი კვლავ ინვალიდად ცნობის შემთხვევაში, პენსიის გაცემა განახლდება შეჩერების დღიდან, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა ხელახლა შემოწმების დღიდან.

თუ ინვალიდმა ხელახლა შემოწმების ვადა გააცდინა საპატიო მიზეზით, მაგრამ არა უმეტეს სამი წლისა ხელახლა დამოწმების დღიდან, მაშინ პენსიის გაცემა განახლდება შეჩერების დღიდან, თუ კომისია მას ამ პერიოდში ცნობს ინვალიდად. იმ შემთხვევაში, თუ ხელახლა შემოწმებისას ინვალიდს სხვა ჯგუფის ინვალიდობა დაუდგინდა პენსია ამ დროის მონაკვეთში მას მიეცემა ინვალიდობის ადრინდელი ჯგუფის მიხედვით.

თავი IV
პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო

მუხლი 27. პენსიის დანიშვნის პირობები

მარჩენალის დაკარგვის გამო პენსია ენიშნებათ სამხედრო მოსამსახურეების, ყოფილი სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკების ოჯახების წევრებს, თუ მარჩენალი დაიღუპა ან გარდაიცვალა სამხედრო სამსახურის გავლის დროს ან არა უმეტეს სამი თვისა სამხედრო სამსახურიდან გასვლის შემდეგ, ან ამ ვადის შემდეგ, თუ სიკვდილის მიზეზი იყო ჭრილობა, კონტუზია, დასახიჩრება ან სხვა ავადმყოფობა, რომელიც მან მიიღო სამხედრო სამსახურის და ოპერატიული მუშაობის დროს; აგრეთვე თუ მარჩენალი გარდაიცვალა პენსიის მიღების პერიოდში ან მარჩენალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით პენსიის შეწყვეტის შემდეგ, საომარი მოქმედების დროს უკვალოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახები უთანაბრდებიან საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საბრძოლო ვითარებაში დაღუპულ სამხედრო ოჯახებს.

მუხლი 28. ოჯახის წევრები, რომლებსაც უფლება აქვთ პენსიაზე

მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიაზე უფლება აქვთ გარდაცვლილი (დაღუპული) სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის შრომისუუნარო წევრებს, რომლებიც იყვნენ მის კმაყოფაზე.

კმაყოფაზე ყოფნის დამოუკიდებლად მარჩენლის დაკარგვის გამო პენსია ენიშნებათ შრომისუუნარო შვილებს, შრომისუუნარო მშობლებს და მეუღლეს, თუ მათ მარჩენლის გარდაცვალების გამო დაკარგეს არსებობის წყარო; შრომისუუნარო მშობლებს და მეუღლეს, საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების, ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას და საბრძოლო ვითარებაში სამხედრო მოსამსახურის დაღუპვისას.

ოჯახის შრომისუუნარო წევრებად ითვლებიან:

ა) შვილები, დები, ძმები, შვილიშვილები, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ თვრამეტი წელი ან ამ ასაკზე უფროსები, თუ ისინი გახდნენ ინვალიდები თვრამეტი

(დასასრული მე-4 გვ.)

დროებითი დებულება

სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ

(დასასრული)

წლის ასაკამდე, აგრეთვე თუ ისინი არიან სასწავლებლის მოსწავლეები ან სწავლობენ საშუალო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში — სასწავლებლების დამთავრებამდე, მაგრამ არა უმეტეს 23 წლის ასაკამდე. ამასთან, ძმებს, დებს და შვილიშვილებს პენსიის უფლება აქვთ იმ შემთხვევაში, თუ მათ არ ჰყავთ შრომისუნარიანი მშობლები.

ბ) დედა, მამა და მეუღლე, თუ მათ მიაღწიეს საპენსიო ასაკს — მამაკაცებმა 60 წელს, ქალებმა 55 წელს ან, თუ ისინი ინვალიდები არიან;

გ) მეუღლე ან ერთ-ერთი მშობლისაგან ბაბუა, ბებია, ძმა ან და შრომისუუნარობისას ასაკის მიუხედავად, თუ ისინი გარდაცვლილი მარჩენალის 18 წლამდე ასაკის შვილებს, და-ძმებს ან შვილიშვილებს უვლიან და არ მუშაობენ;

დ) ბებია და ბაბუა იმ შემთხვევაში, თუ არ არიან პირები, რომელთაც კანონით ევალებათ მათი კმაყოფა.

ამ მუხლით გათვალისწინებული წესი, რომელიც გარდაცვლილთა ოჯახებს ეხება, შესაბამისად ვრცელდება აგრეთვე უკვალოდ დაკარგულთა ოჯახების წევრებზე თუ მარჩენლის დაკარგვა დადასტურებულია დადგენილი წესით.

მუხლი 29. ოჯახის წევრები, რომლებიც ითვლებიან კმაყოფაზე

გარდაცვლილის ოჯახის წევრები ითვლებიან მარჩენალის კმაყოფაზე, თუ ისინი იმყოფებოდნენ სრულად მის კმაყოფაზე, ან ღებულობდნენ მისგან დახმარებას, რომელიც იყო მათი არსებობის მუდმივი და ძირითადი წყარო.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები, რომელთათვისაც მისი დახმარება იყო მათი არსებობის მუდმივი და ძირითადი წყარო, მაგრამ ღებულობდნენ რაიმე პენსიას, უფლება აქვთ მიიღონ ახალი პენსია.

მუხლი 30. პენსიის გაცემა ბავშვებისათვის, რომლებიც სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე არიან.

ბავშვები, რომელთაც ორივე მშობელი ჰყავთ დაკარგული (დედ-მამით ობლები) და სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე იმყოფებიან, პენსია ეძლევათ სრული ოდენობით.

ბავშვებს, რომელთაც ერთი მშობელი მაინც ჰყავთ და არიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე, მიეცემათ პენსიის — 50 პროცენტი, ხოლო სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფ სხვა ბავშვებს ეძლევათ დანიშნული პენსიის 30 პროცენტი.

მუხლი 31. შვილად აყვანის და ნაშვილების უფლება პენსიაზე

შვილად ამყვანთ უფლება აქვთ პენსიაზე როგორც მშობლებს და ნაშვილებს — როგორც ღვიძლ შვილებს.

არასრულწლოვანებს, რომელთაც აქვთ უფლება პენსიაზე მარჩენალის დაკარგვის გამო, ეს უფლება უნარჩუნდებათ გაშვილების შემთხვევაშიც.

მუხლი 32. დედინაცვლის და მამინაცვლის, გერის უფლება პენსიაზე

დედინაცვალს და მამინაცვალს აქვთ უფლება პენსიაზე როგორც მშობლებს, თუ გარდაცვლილი გერი იყო მათ კმაყოფაზე და იზრდებოდა მათთან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 33. პენსიის უფლება პენსიონერის ახალ ქორწინებასთან დაკავშირებით.

მეუღლის გარდაცვალების გამო დანიშნული პენსიის მიღების უფლება პენსიონერს უნარჩუნდება ახალი ქორწინების შემდეგაც.

მუხლი 34. პენსიის ოდენობა.

პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო ინიშნება შემდეგი ოდენობით:

ა) რომლებიც დაიღუპნენ ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრებისაგან საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების, მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის დროს ბრძოლაში ან სხვა საბრძოლო ვითარებაში ან სხვა სამხედრო სამსახურის მოვალეობის (სამსახურებრივი მოვალეობის) შესრულებისას ან ავადმყოფობით, რომელიც სამხედრო სამსახურთან არის დაკავშირებული — ოჯახის ყოველ შრომისუუნარო წევრზე მარჩენალის თვიური სარგოს — 50 პროცენტი.

სიკვდილის მიზეზების მიუხედავად ასეთივე ოდენობის პენსიები ერიცხებათ გარდაცვლილ ომის ინვალიდ პენსიონერთა ოჯახებს, რომლებშიც არიან დედ-მამით ობოლი ბავშვები;

ბ) რომლებიც დაიღუპნენ დასახიჩრების გამო, უბედური შემთხვევის მიზეზით და ეს არ იყო დაკავშირებული სამხედრო მოვალეობის (სამსახურებრივი მოვალეობის) შესრულებასთან ან ავადმყოფობის გამო, რომელიც არ იყო სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული — ოჯახის ყოველ შრომისუუნარო წევრზე მარჩენალის თვიური სარგოს 40 პროცენტი.

მუხლი 35. პენსიის მინიმალური ოდენობა

მარჩენალის დაკარგვის გამო სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების თითოეულ შრომისუუნარო წევრს დაენიშნება შემდეგი პენსია:

ა) ამ დროებითი დებულების 34-ე მუხლის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილ პირთათვის პენსია გამოიანგარიშება: ვადიანი სამსახურის რიგითების და მატროსების, ზემდეგებისა და მიჩმანების ოჯახების წევრებისათვის — 200 პროცენტი, ზევადიანი და კონტრაქტით მომსახურე სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითი და უმცროსი შემადგენლობის პირთა ოჯახების წევრებისათვის — 300 პროცენტი, ხოლო შინაგან საქმეთა ორგანოების ოფიცერთა და უფროსი შემადგენლობის (გარდა უმაღლესი შემადგენლობის) ოჯახებისათვის — 350 პროცენტი ასაკის გამო მინიმალური პენსიის ოდენობიდან;

ბ) ამ დროებითი დებულების 34-ე მუხლის „ბ“ პუნქტში ჩამოთვლილ პირთათვის პენსია გამოიანგარიშება 75 პროცენტის ოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის „ა“ პუნქტით შესაბამისი სამხედრო მოსამსახურეთა კატეგორიების ოჯახებისათვის.

მუხლი 36. ობოლი ბავშვების პენსიის გაანგარიშება

ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის, რომელთა შემადგენლობაში იმყოფებიან უდედმამო (ობოლი) ბავშვები, პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო გამოიანგარიშება დედის და მამის საერთო შემოსავლის ფულადი თანხებიდან.

მუხლი 37. პერიოდი, რომელზედაც ინიშნება პენსია

მარჩენალის დაკარგვის გამო პენსია მუდმივად ენიშნებათ აგრეთვე გარდაცვლილის ოჯახის შრომისუუნარო წევრებს, აგრეთვე ოჯახის წევრ მამაკაცებს 60 წლისა და ქალებს 50 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ.

მუხლი 38. პენსიის დანიშვნა ოჯახის ყველა წევრისათვის პენსიის წილის გამოყოფა

ოჯახის ყველა წევრს, რომელთაც აქვთ უფლება პენსიაზე, ენიშნებათ საერთო პენსია.

ოჯახის წევრის მოთხოვნით მისი წილი გამოიყოფა და გადაეხდება მას ცალკე.

პენსიის წილის გამოყოფა ხდება პენსიის გამოყოფის თაობაზე განცხადების შემოსვლის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

მუხლი 39. პენსიის ოდენობის შეცვლა და მისი გადახდის შეწყვეტა

თუ ოჯახის შემადგენლობაში, რომელთაც დაენიშნა პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო, რაიმე ცვლილება მოხდა, რის შედეგადაც ოჯახის ცალკეული წევრი ან ოჯახი მთლიანად კარგავს უფლებას პენსიაზე, პენსიის გადაანგარიშება ან მისი გაცემის შეწყვეტა ხდება განცხადების შემოსვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

მუხლი 40. ოჯახის წევრებისათვის ინვალიდობის დადგენის ვადები და წესები

ოჯახის წევრებზე, რომლებიც ინვალიდები არიან, ვრცელდება ამ დროებითი დებულების 17,24 და 28 მუხლებით ინვალიდობის დადგენის ვადები და წესები.

თავი V

პენსიების გამოანგარიშება

მუხლი 41. ხელფასიდან (თანამდებობრივი, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი და სამხედრო წოდების ფულადი სარგოები) პენსიის გამოანგარიშება

ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახებისათვის დანიშნული პენსიის გამოანგარიშება ხდება დადგენილი ნორმების შესაბამისად პროცენტებში საშუალო თვიური ხელფასიდან, რომელსაც ისინი ღებულობდნენ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე ან სამხედრო სამსახურის შემდეგ პენსიის დანიშვნის შესახებ მიმართვამდე ან საშუალო-თვიური ხელფასიდან, რომელსაც ღებულობდნენ კონტრაქტით მომსახურე სამხედრო მოსამსახურეები. ამასთან, საშუალო-თვიური ხელფასის (ფულადი კმაყოფის) გამოანგარიშება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც არ მუშაობდნენ როგორც სამხედრო სამსახურში გაწვევამდე და ასევე სამხედრო სამსახურიდან გასვლის შემდეგ და არ გადიოდნენ სამხედრო სამსახურს კონტრაქტით, აგრეთვე მათ ოჯახებს უანგარიშდებათ ამ დროებითი დებულების მე-20 და 35-ე მუხლებით დადგენილი მინიმალური პენსიის ოდენობა.

ყოფილი სახელმწიფო უშიშროების ოფიცრებისა და ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა ორგანოების უფროს და რიგით პირთა შემადგენლობის, მათი ოჯახების წევრებისათვის პენსიის გაანგარიშება ხდება მათი ფულადი კმაყოფიდან.

პენსიის გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნება თანამდებობრივი და სამხედრო ან სპეციალური წოდების სარგოები, აგრეთვე პროცენტული დანამატი წელთა ნამსახურობისათვის.

მუხლი 42. პენსიის გამოანგარიშება გადიდებული ხელფასიდან

ვადიანი სამხედრო მოსამსახურე ინვალიდობით მომუშავე პენსიონერებს, რომელთაც აქვთ უფრო მეტი ხელფასი, ვიდრე ის ხელფასი, საიდანაც მათ დაუანგარიშდათ პენსია, მუშაობის დაწყების დღიდან მათი განცხადებით გადაუანგარიშდებათ ახალი გადიდებული პენსია. ასეთივე პირობებით ხდება იმ პირთა პენსიის გადაანგარიშება, რომლებსაც დანიშნული აქვთ მინიმალური ოდენობის პენსია და პენსიონერი არ ღებულობს არავითარ ხელფასს.

მომუშავე პენსიონერის ხელფასის შემდგომი ზრდა მისი განცხადებით იწვევს პენსიის ახალ გაანგარიშებას.

მუხლი 43. პენსიონერთა ოჯახების წევრთათვის პენსიების გამოანგარიშება

პენსიონერი სამხედრო მომსახურეების, ყოფილ სახელმწიფო უშიშროების შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსი და რიგითი შემადგენლობის პირთა ოჯახების წევრებისათვის მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიის გაანგარიშება ხდება ხელფასიდან (ფულადი კმაყოფიდან), რომლიდანაც მარჩენალს ჰქონდა გაანგარიშებული პენსია.

ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების წევრებს, რომელნიც ამ დროებითი დებულების 42-ე მუხლით სარგებლობენ უფლებით, რომ გაუანგარიშდეთ პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო, პენსია გაუანგარიშდებათ იმ ხელფასიდან, რომლიდანაც უნდა მომხდარიყო პენსიის ოდენობის გამოანგარიშება.

მუხლი 44. პენსიის და ხელფასის მინიმალური ოდენობის გაზრდა

მინიმალური ხელფასის ოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით იზრდება მინიმალური პენსიის ოდენობაც.

თავი VI

პენსიების დანიშვნა

მუხლი 45. პენსიის დასანიშნავად მიმართვა

პენსიის დასანიშნავად ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებმა და მათი ოჯახების წევრებმა უნდა მიმართონ სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებას, ოფიცრებმა, ზევადიანი სამხედრო და კონტრაქტით მომსახურე სამხედრო მოსამსახურეებმა, ყოფილ სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსი და რიგითი შემადგენლობის პირებმა და მათი ოჯახის წევრებმა — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მუხლი 46. პენსიის დანიშვნის ორგანოები და ვადები, რომლებშიც მათ უნდა განიხილონ საბუთები პენსიის დანიშვნის შესახებ

ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებსა და მათ ოჯახების წევრებს პენსიები ენიშნებათ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებების მიერ; ოფიცრებს, ზევადიან და კონტრაქტით მომსახურე სამხედრო მოსამსახურეებს, შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსი და რიგითი შემადგენლობის, ყოფილ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირებს და მათი ოჯახების წევრებს — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს საპენსიო ორგანოების მიერ.

საპენსიო ორგანომ უნდა განიხილოს საბუთები პენსიის დანიშვნის შესახებ არა უგვიანეს 10 დღის ვადაში საბუთების შემოსვლის დღიდან.

მუხლი 47. პენსიების დანიშვნის ვადები

ამ დებულების თანახმად პენსიები ენიშნებათ:

ა) ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს — სამხედრო ჰოსპიტლიდან გამოწერის დღიდან, მაგრამ არა უგვიანეს იმ დღისა, როდესაც იგი სამხედრო სამსახურიდან არის დათხოვნილი, თუ ინვალიდობა დადგენილია სამხედრო-სამედიცინო კომისიის მიერ და მიმართვა პენსიაზე იყო არა უგვიანეს 3 თვისა სამედიცინო დაწესებულებებიდან გამოწერის დღიდან, ან შეიარაღებული ძალებიდან რეზერვში გასვლის დღიდან და ვადიანი სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების და პენსიონერების ოჯახებს ამ პირთა რიცხვიდან მარჩენალის სიკვდილის დღიდან ან პენსიის უფლების მიღების დღიდან პენსიის დანიშვნაზე მიმართვის არა უგვიანეს 12 თვისა.

აღნიშნული სამხედრო მოსამსახურეების მშობლებს ან მეუღლეს, რომელთაც აქვთ უფლება პენსიაზე, არსებობის წყაროს დაკარგვის გამო, პენსია ენიშნებათ მიმართვის დღიდან;

ამ მუხლის „ბ“ პუნქტის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილ პირებს და მათი რიცხვიდან პენსიონერების ოჯახების წევრებს, რომელთაც აქვთ უფლება პენსიაზე მარჩენალის დაკარგვის გამო — პენსიის დანიშვნის უფლების წარმოშობის დღიდან, მშობლებსა და მეუღლეებს, აქვთ უფლება პენსიაზე არსებობის წყაროს დაკარგვის გამო. პენსია ენიშნებათ მიმართვის დღიდან.

წარსული დროის პენსია არადროული მიმართვის შემთხვევაში ენიშნებათ პენსიის უფლების წარმოშობის დღიდან, მაგრამ არა უმეტეს 12 თვისა პენსიის დანიშვნის მიმართვამდე.

მუხლი 48. დანიშნული პენსიების ვადების გადაანგარიშება

სამხედრო მოსამსახურეებს, ყოფილი სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსი და რიგითი შემადგენლობის პირთა და მათი ოჯახების წევრების პენსიების გადაანგარიშება ხდება იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომელშიც წარმოიშვა გარემოება პენსიის ოდენობის გადაანგარიშებისათვის.

თუ პენსიონერმა პენსიის გაზრდის უფლება მიიღო, ის სხვაობა წარსული დროის პენსიასთან მას შეიძლება გადაეხადოს არა უმეტეს 12 თვის ოდენობით.

თავი VII

პენსიების გადახდა

მუხლი 49. ორგანოები, რომლებიც აწარმოებენ პენსიების გაცემას ვადიანი სამხედრო სამსახურის პენსიონერებისა და მათი ოჯახების წევრებს, პენსიები გადაეხდებათ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, განურჩევლად ჩაწერისა, სათანადოდ გაფორმებული საბუთების საფუძველზე.

ოფიცრებს, ყოფილი სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსი და რიგითი შემადგენლობის პირებს, ზევადიანი და კონტრაქტით მომსახურე სამხედრო მოსამსახურეებს და მათ ოჯახების წევრებს პენსია გადაეხდებათ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკისა და შემნახველი ბანკის მიერ მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, განურჩევლად ჩაწერისა, სათანადოდ გაფორმებული საბუთების საფუძველზე, რომლებიც გაცემულია საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს მიერ.

მუხლი 50. პენსიონერებისათვის პენსიების გაცემა, თუ მათ აქვთ ხელფასი ან სხვა შემოსავალი

ამ დროებითი დებულებით დადგენილი პენსიები გაიცემა მთლიანად, ხელფასის ან რაიმე სხვა შემოსავლის მიუხედავად.

მუხლი 51. გასული დროის პენსიების გაცემა

სამხედრო მოსამსახურეებს, ყოფილი სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსი და რიგითი შემადგენლობის პირებს და მათი ოჯახის წევრებს მიეცეთ დარიცხული პენსიის თანხები, რომლებსაც დროულად არ ჰქონდათ მიღებული, მიეცემათ, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა.

პენსიის თანხები, რომლებიც დროულად არ ჰქონდათ პენსიონერებს მიღებული პენსიის გადამხდელის ორგანოს მიზეზით, მიეცემათ გასული დროის ვადის გაუთვალისწინებლად ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

მუხლი 52. პენსიების გაცემა პენსიონერებისათვის, რომელნიც ცხოვრობენ სახლ-ინტერნატებში

სამხედრო მოსამსახურეთა, ყოფილ სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსი და რიგითი შემადგენლობის რიცხვიდან მარტოხელა პენსიონერებს, რომლებიც ცხოვრობენ მოხუცებულთა სახლ-ინტერნატებსა და პანსიონატებში პენსია მიეცემათ დანიშნული პენსიის ოდენობისა და სახლ-ინტერნატებში (პანსიონატებში) მათ მოვლა-პატრონობისათვის გაწეულ ხარჯებს შორის სხვაობის თანხის ოდენობაზე, მაგრამ არანაკლებ 35 პროცენტისა დანიშნული პენსიისა და არანაკლებ 30 პროცენტი ასაკის გამო დანიშნული მინიმალური პენსიისა. თუ ასეთ პენსიონერს ჰყავს შრომისუუნარო ოჯახის წევრები, რომლებიც მის კმაყოფაზე არიან და შედიან იმ პირთა რიცხვში, რომელთაც ეკუთვნით პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო, პენსია მიეცემათ შემდეგი წესით: პენსიის 35 პროცენტი, მაგრამ არა ნაკლებ 30 პროცენტი ასაკის გამო დანიშნული მინიმალური პენსიის ოდენობიდან თვითონ პენსიონერს, ხოლო დანარჩენი ნაწილი, მაგრამ არა უმეტეს 60 პროცენტიანი ოჯახის დანარჩენ წევრებს.

ამ მუხლში აღნიშნული ოჯახების წევრებს — პენსიონერებს მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში (პანსიონატებში) ცხოვრებისას მიეცემათ მათთვის დანიშნული პენსიის 20 პროცენტი, მაგრამ არა ნაკლები 30 პროცენტისა ასაკის გამო დანიშნული პენსიის ოდენობიდან თვეში. იმ შემთხვევაში, როდესაც მათი პენსიის ოდენობა — სახლ-ინტერნატებში (პანსიონატებში) მათი მოვლა-პატრონობისათვის გაღებულ ხარჯებს აღემატება, მათ მიეცემათ სხვაობა პენსიასა და მათ შესანახად გაწეულ ხარჯებს შორის, რომელიც არ უნდა იყოს 20 პროცენტზე ნაკლები მათთვის დანიშნული პენსიის ოდენობიდან და არა ნაკლები 30 პროცენტისა ასაკის გამო მათთვის დანიშნული პენსიიდან ყოველთვიურად.

მუხლი 53. პენსიის გაცემა სტაციონარულ მკურნალობაზე ყოფნისას

სტაციონარულ მკურნალობაზე ყოფნისას პენსიონერებს მიეცემათ სრული პენსია.

მუხლი 54. პენსიის გაცემის შეჩერება

პენსიის გაცემა შეჩერდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ პენსიონერს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის გამო და განაჩენი ძალაშია შესული, თავისუფლების აღკვეთის მთელ პერიოდში, თუ მის კმაყოფაზე არ იმყოფება ოჯახის რომელიმე წევრი;

ბ) თუ პენსიონერი შევიდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურში, სახელმწიფო უშიშროებისა ან შინაგან საქმეთა ორგანოებში (ყოფილ სსრ კავშირის და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის დანიშნული პენსიის გაცემის შეჩერება ხდება პენსიონერის ნებასურვილით);

გ) უკვალოდ დაკარგულად ცნობილ სამხედრო მოსამსახურის გამოცხადების ან აღმოჩენისას.

მუხლი 55. პენსიებიდან დაკავება

პენსიიდან დაკავება ხდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, მაგრამ არა უმეტეს მისი 50 პროცენტისა.

თუ პენსიის თანხები სამხედრო მოსამსახურეების, სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსი და რიგითი შემადგენლობის პირთათვის და მათი ოჯახების წევრებისათვის ზედმეტად არის გაცემული მათი ბოროტმოქმედების შედეგად, საპენსიო ორგანოების გადაწყვეტილებით მათ ეს თანხები დაექვითებათ.

მუხლი 56. პენსიისა და დახმარების გაცემა პენსიონერების გარდაცვალების შემთხვევაში

პენსიის თანხები, რომლებიც ეკუთვნოდა პენსიონერს ან მისი ოჯახის წევრებს და გარდაცვალების გამო არ ჰქონდა მიღებული, მემკვიდრეობაში არ შედის და მიეცემა ოჯახის იმ წევრებს, რომელთაც ეკუთვნით პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო.

ოჯახის რამდენიმე წევრის განცხადებით მიმართვის დროს მათთვის კუთვნილი პენსიის თანხა მათ შორის თანაბრად იყოფა.

ამ თანხის გაცემა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მიმართვა იქნება არა უგვიანეს 6 თვისა პენსიონერის გარდაცვალების შემდეგ.

პენსიონერის გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს ეძლევა დაკრძალვისათვის დახმარება სამი თვის პენსიის ოდენობით.

თუ პენსიონერი დაკრძალეს სხვა პირებმა, რომლებიც ოჯახის წევრების რიცხვში არ შედიან, მათ მიეცემათ დახმარება დაკრძალვისას დახარჯული თანხის ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ მუხლით გათვალისწინებული ოდენობით.

მუხლი 57. პენსიის გადახდა საზღვარგარეთ წასულ პირთათვის სამხედრო მოსამსახურეთა, ყოფილ სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსი და რიგითი შემადგენლობის რიცხვიდან პენსიონერებს და მათი ოჯახების წევრებს, რომლებიც წავიდნენ საზღვარგარეთ მუდმივად საცხოვრებლად, საქართველოს რესპუბლიკაში პენსია არ ენიშნებათ, თუ ასეთი რამ არ არის გათვალისწინებული შეთანხმებით (ხელშეკრულებით) საქართველოს რესპუბლიკასა და სხვა სახელმწიფოთა შორის.

აღნიშნულ პირთათვის საქართველოს რესპუბლიკაში მათი საზღვარგარეთ წასვლამდე პენსიის გადახდა ხდება ამ დროებითი დებულებით დადგენილი წესით.

სამხედრო მოსამსახურეთა, ყოფილი სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების უფროსი და რიგითი შემადგენლობის რიცხვიდან საზღვარგარეთ დროებით საცხოვრებლად წასულ პენსიონერებს, აგრეთვე სხვა ქვეყნებში სამუშაოდ წასულ პირებს, საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში პენსია გადაეხდებათ საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილი წესით.

თავი VIII

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურში შესულ პირთათვის პენსიების გაუქმება და დანიშვნა

მუხლი 58. პენსიების გაუქმება

ყოფილ სსრ კავშირის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შეიარაღებული ძალებიდან და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პენსიონერებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში, თავიანთი სურვილის მიხედვით, უფლება აქვთ უარი განაცხადონ პენსიის მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში ისინი ყოველთვიურად მიიღებენ თანამდებობრივ და სამხედრო წოდების ფულად სარგოებს, რასაც დაემატება წელთა ნამსახურობის პროცენტული სარგო. თუ ისინი განაგრძობენ პენსიის მიღებას, მაშინ სამხედრო სამსახურის გავლისას მიიღებენ მხოლოდ თანამდებობრივ და სამხედრო წოდების ფულად სარგოებს.

ასეთივე უფლებებით სარგებლობენ შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითი და უფროსი შემადგენლობის პენსიონერები.

მუხლი 59. პენსიების დანიშვნა

58-ე მუხლში ჩამოთვლილ პირებს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებიდან, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან გამოსვლისას დაენიშნებათ ახალი პენსია თანამდებობრივი, სამხედრო წოდების ყოველთვიური და ნამსახურობის წელთა ფულადი სარგოების გათვალისწინებით ამ დროებითი დებულებით დადგენილი წესით, მაგრამ პენსიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული სარგოების 75 პროცენტს.

თავი IX

პენსიების ცვალებადობა

მუხლი 60. პენსიების მომატება ცხოვრების დონის ინდექსაციის შეცვლის და ხელფასის ზრდის გამო

ამ დროებითი დებულებით დანიშნული პენსიები ყოველწლიურად იზრდება ცხოვრების დონის ინდექსაციის და ხელფასის ზრდის გათვალისწინებით, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

მუხლი 61. დროებითი დებულების მოქმედება იმ პირთათვის, რომლებსაც ჰქონდათ დანიშნული პენსიები

ამ დროებითი დებულების მოთხოვნილებები მთლიანად ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეებსა და მათთან გათანაბრებულ პენსიონერ პირებზე, აგრეთვე მათი ოჯახების წევრებზე, რომლებიც ღებულობდნენ პენსიებს ყოფილ სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს, სხვა უწყებების ბიუჯეტებიდან.

იმ პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ენიშნებათ პენსიები საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს და შესაბამის უწყებათა ბიუჯეტებიდან.

მუხლი 62. პენსია და ხელფასი მომუშავე პენსიონერებისათვის

პენსია და ხელფასი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და შინაგან საქმეთა ორგანოების პენსიონერებს, აგრეთვე პენსიონერებს, რომლებიც გადიოდნენ სამხედრო სამსახურს ყოფილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში და ამჟამად ღებულობენ პენსიას ამ დროებითი დებულების მეათე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად, თუ ისინი პენსიაზე გასვლის შემდეგ აგრძელებენ მუშაობას, პენსია და ხელფასი დაკავებული თანამდებობის მიხედვით ეძლევათ სრული ოდენობით.

მუხლი 63. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურების პირების პენსიები

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალებიდან, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო უშიშროების სამსახურიდან გასულ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, პენსია დაენიშნებათ საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელშეკრულების საფუძველზე.

ალექსანდრე ჩიქვაიძე:

თვით ზარბაზნების გრიალშიც!..

პრესკონფერენცია მოსკოვში

8 ოქტომბერს საქართველოს მოსკოვის მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიქვაიძის პრესკონფერენცია.

„აფხაზიის ბოევიკებისა" და რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებიდან შემოჭრილი დაქირავებული ტერორისტების მიერ წამოწყებული დიდი მასშტაბის შეტევა ქალაქ გაგრაზე მიზნად ისახავს იმას რომ გავიდნენ საქართველო-რუსეთის საზღვარზე და აფხაზეთის ჩრდილოეთი ნაწილი მოსწყვიტონ საქართველოს. ეს არის საქართველოს ხელშეუხებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეში ხელყოფა", — განაცხადა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჩიქვაიძემ. მან აღნიშნა, რომ მოიერიშენი იყენებენ უახლესი ტიპის მძიმე ტანკებსა და სხვა თანამედროვე იარაღს, რომლებითაც რუსეთის არმიაა შეიარაღებული. ა. ჩიქვაიძემ განაცხადა, რომ 5 ოქტომბერს ორმა სუ-25 თვითმფრინავმა, რომლებსაც რუსეთის გამოსაცნობი ნიშნები ჰქონდათ, ჩამოაგდო საქართველოს ვერტმფრენი.

ჟურნალისტებს წარუდგინეს ქალაქ გაგრაში დახვრეტილი ქართული ეროვნების პირთა სია, აუწყეს, რომ მომხდურებმა დაწვეს საქალაქო კლინიკური საავადმყოფო იქ მოთავსებულ დაჭრილებთან ერთად, რომ დახვრიტეს მისი ექიმები. აი უკვე მესამე დღეა გრძელდება ეს ტრაგედია, თქვა ა. ჩიქვაიძემ. კონფედერაციის დაქირავებულები გამოირჩევიან ულმობლობით. ადამიანთა წამება, აბუჩად აგდება, გაუპატიურება, მათ შორის მცირეწლოვანებისა, მათი ყოფნის რაიონებში დამახასიათებელი ფაქტები გახდა.

ბატონმა ჩიქვაიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სრულიად ცხადია აფხაზ სეპარატისტთა შეთქმულება რუსეთის რეაქციულ ძალებთან. რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებმა, რომლებიც ეწინააღმდეგება დემოკრატიული რუსეთის ინტერესებს, მისი აზრით, უშუალოდ გამოიწვიეს უკანასკნელი დღეების სისხლიანი ამბები, რომელთა კულმინაცია გახდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. შევარდნაძის სიცოცხლის ხელყოფა.

„საქართველოს მეთაურის წინააღმდეგ ჩადენილი თავდასხმის აქტი სხვა არა არის რა, თუ არა აშკარა ტერორისტული აქტი, — თქვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა. — ამჟამად საქართველოს საჰაერო სივრცე აფხაზეთის რეგიონში, საზღვაო მისასვლელები ბლოკირებული აქვთ რუსეთის ჯარებს, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის უხეში ფეხქვეშ გათელვაა".

უპასუხა რა კითხვას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ აფხაზეთის კონფლიქტის კონტექსტით, ბატონმა ჩიქვაიძემ განაცხადა, რომ გაოცებას იწვევს აზრი, თითქოს ილახებოდეს რესპუბლიკის რუს მოქალაქეთა უფლებები, რასაც ასე წერგავენ. ეს საბაბი სჭირდება ზოგიერთ ძალას სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ შესაძლო აგრესიის გამართლებისათვის. „რუს მოქალაქეებს საქართველოში, ისევე როგორც სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებსაც, მუდამ ჰქონდათ და ექნებათ სრულუფლებიანი მდგომარეობა, — თქვა ა. ჩიქვაიძემ. — უფრო მეტიც, უკვე დღეს რესპუბლიკის რუსი მოსახლეობა მთელ რიგ ქალაქებში აწყობს მიტინგებს და გადაჭრით მოითხოვს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის შეწყვეტას".

ბატონმა ჩიქვაიძემ, როცა შეეხო 5 ოქტომბერს ტელეფონით რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. კოზირევთან და მის მოადგილესთან ვ. ჩურკინთან საუბარს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორივე მხარემ გამოთქვა შეშფოთება აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის გამო, თქვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვის შემაჯამებელი დოკუმენტის ყველა დებულების განუხრელ დაცვას. მინისტრი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ 3 სექტემბრის შეთანხმებათა ზუსტ შესრულებას შეუძლია ჩააქროს კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონში.

ა. ჩიქვაიძემ ჟურნალისტებს შეახსენა, რომ საქართველოს პოლიტიკურმა ლიდერებმა არაერთგზის სცადეს დიალოგი გაემართათ ვ. არძინბასთან და მის თანამოაზრეებთან, რომლებიც, უნდა ითქვას, მათ უგულებელყვეს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოთქვა რწმენა, რომ აფხაზეთის მხარემ მოსკოვის 3 სექტემბრის შეხვედრა გამოიყენა მხოლოდ შირმად თავისი ძალების ზრდისათვის, რის ლოგიკური შედეგი გახდა კიდეც სისხლისღვრა ქალაქ გაგრაში.

პრესკონფერენციის მონაწილეთა გაკვირვება გამოიწვია კორესპონდენტის კითხვამ, რომელიც, დაიმოწმა რა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ინფორმაცია, დაინტერესდა, ჭეშმარიტია თუ არა ბატონ შევარდნაძის განცხადება ლესელიძეში, რომ, თუ საჭირო იქნება, საქართველო მზად არის აფხაზეთს ატომური ბომბიც ესროლოს. უპასუხა რა ამ „კითხვას", ბატონმა ჩიქვაიძემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებიც აშუქებენ კონფლიქტის რეგიონების ამბებს, რომელთა ტენდენციურობასა და არაობიექტურობას შეუძლიათ დაარღვიონ ურთიერთობა ხალხთა შორის.

ბატონმა ჩიქვაიძემ გამოთქვა აზრი, რომ სიტუაციის დესტაბილიზაცია აფხაზეთში ხელს აძლევთ ძალებს, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ 11 ოქტომბრისათვის დანიშნული საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. „ზარბაზნების გრიალშიც კი უნდა მოვაწყოთ არჩევნები", — თქვა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მარინე რონდელი,
საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პრესცენტრი

სპეციალური ტელესაკომუნიკაციო ცენტრი

საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის და შემდეგ — მუდმივად

თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, 12-14, სპეციალურად საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის გაიხსნა ტელესაკომუნიკაციო ცენტრი. მისი შექმნის სპონსორები არიან დემოკრატიისა და აღორძინების ფონდი (თავმჯდომარე — სოლიკო ხაბეიშვილი) და საქართველო-ამერიკის ერთობლივი საწარმო „ჯორჯიანინტელკომი" (გენერალური დირექტორი — პროფესორი ნოდარ ხარაძიშვილი).

ცენტრის შექმნის ინიციატორია საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე ფრიდონ ინჯია, რომლის ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა უმოკლეს დროში დამკვიდრებულიყო ეს უაღრესად საჭირო და აუცილებელი საკომუნიკაციო საშუალება.

ცენტრის მუშაობა განხორციელდება თანამედროვე კავშირის საფუძველზე ევროპის უმაღლესი სტანდარტების დონეზე. სადღეღამისო მუშაობის რეჟიმის დროს უცხოელ ჟურნალისტებსა და მეთვალყურეებს, რომლებიც ჩამოვლენ საქართველოში პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით, საშუალება ექნებათ დაუკავშირდნენ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას. ამისათვის მათ მოემსახურებათ ტელეფონები, ფაქსი, ტელექსი, ელექტრონული ფოსტა და სატელიტური ტელეფონი (თანამგზავრის მეშვეობით). მომსახურება ფასიანია — ვალუტაზე იქნება. ამასთან იგი ორჯერ და უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე, ვთქვათ, მსგავსი მომსახურება სასტუმრო „მეტეხში".

ტელესაკომუნიკაციო ცენტრი უკვე შეუდგა მუშაობას. აღსანიშნავია მისი გემოვნებით გაფორმებული ინტერიერი, სასიამოვნო დიზაინი. აქ ყველა საშუალებაა შექმნილი იმისათვის, რომ სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ.

ცენტრი არჩევნებისათვის გაიხსნა, მაგრამ იმუშავებს მუდმივად.

თანამემამულენო, არ შედრკეთ! საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვებთ!

(დასასრული)

მიუხედავად იმისა, რომ ზ. გამსახურდიას რელიგიურ-თეორიულმა წიაღსვლებმა და ხელისუფლების სათავეში ყოფნისას გატარებულმა პოლიტიკამ მრავალ ადამიანს აუბნია საქართველოში ცხოვრების გზა, თეოკრატიული სახელმწიფოს არსი — საერო და სასულიერო ხელისუფლების გაერთიანება — არსებითად მიუღებელია ჩვენი ხალხისათვის, რამეთუ ევროპული ცივილიზაციის დასაბამთან, ბერძნულ-რომაულ ცივილიზაციასთან ხანგრძლივმა ურთიერთობამ, ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ქართველებს მტკიცედ დაუმკვიდრა ჰუმანიზმის და ლიბერალიზმის გამომხატველი პრინციპი რელიგიის სახელმწიფოსაგან გამიჯვნის შესახებ. საქართველოს მრავალი განაჭირი დაუძლევია და მას ვერც მუსულმანური შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ და ვერც ზ. გამსახურდიას ფაქტობრივი თანამშრომლობა მათთან ვერ გადაახვევინებს ჯერ კიდევ მისი შორეული წინაპრების მიერ არჩეული გზიდან, რომელიც აშკარად თუ ფარულად ყოველთვის დასავლური ცივილიზაციისაკენ იყო მიმართული.

კავკასიის რეგიონში სეპარატისტული განწყობილებების არნახული გაღრმავება, ისტორიული ანალოგით მისი მუსულმანური რელიგიის რელსებზე გადაყვანა ამ დაპირისპირებას უმძიმეს სარწმუნოებრივ ომში გადაზრდას უქადის. ის ფაქტი, რომ კონფედერაციამ საომარი მოქმედების ასპარეზად აქცია დღეს საქართველო, დამშვიდების საბაბს არავის არ აძლევს. საიდუმლო არ არის, რომ კონფედერაციას, გარდა ორ ზღვას შუა მოქცეული სივრცისა, რუსეთის მთელი სამხრეთი (ქ. როსტოვამდე) თავის ტერიტორიად მიაჩნია. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, რუსეთის ზოგიერთი ხელმძღვანელის სიბეცის გამო სულ მალე მათ ტერიტორიაზე გადაინაცვლებს უფრო მწვავე ფორმით, უფრო დიდი მსხვერპლით. მხედველობაშია მისაღები, რომ რუსეთის რეაქციული წრეები დიდ დაინტერესებას იჩენენ კავკასიაში დესტაბილიზაციის შენარჩუნებით. მათ კარგად იციან, რომ დღეს თუ ხვალ ეს ცეცხლი რუსეთსაც წაეკიდება. თუ ჟირინოვსკი, კოგანი და მათი მიმდევრები ბოლო პერიოდში ვ. არძინბასთან ერთად ბიზნესის სფეროში ცდიდნენ ძალებს, ამჯერად მათ ეძლევათ შანსი დაუბრუნდნენ ხელისუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზს. რუსეთში სხვაც ბევრია მღვრიე წყალში თევზის დაჭერის მოსურნე.

იმამატის იდეით გაბრუებული თანამედროვე შამილის მიერ პროვოცირებული ჩრდილოეთ კავკასია კი დღეს დენთის დიდ კასრს წააგავს, რომელთანაც თითოეულ ავტონომიას საკუთარი ხალხის სარწმუნოებრივი ფანატიზმის გაღვივებით გულმოდგინედ მიაქვს ანთებული მუგუზალი. ეს აფეთქება არ უნდა მოხდეს. რუსეთ-საქართველოს ერთიანი ძალისხმევა და არა მარტო მათი, მთელი ენერგიით უნდა ამუშავდეს მსოფლიო კატასტროფის კავკასიური კერის უმოკლეს დროში ჩასაქრობად.

მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოს მოღალატე ყოფილმა პრეზიდენტმა შეძლო დროებით თავის მხარეზე გადაეყვანა ქართველი ხალხის მცირე ნაწილი, რომელიც ცდილობდა მისი დავალებების შესრულებით როგორმე ხელი შეეშალა არჩევნების ჩატარებისათვის, მათი მცდელობა კრახით დამთავრდა, რესპუბლიკის პროკურატურისა და დაზვერვისა და ინფორმაციის სამსახურის მუშაკების მიერ დაპატიმრებულია რამდენიმე ათეული დივერსანტი და ტერორისტი, რომლებიც შემოგზავნილი იყვნენ პირადად გამსახურდიას მიერ საქართველოში დესტაბილიზაციის შესაქმნელად. ასეთივე ჯგუფები გამოვლენილია და უვნებელყოფილია დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში.

11 ოქტომბერს საქართველოში არჩევნები აუცილებლად ჩატარდება, საქართველო დაადგება ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზას, ეგრეთწოდებული „ზვიადისტების" ოცნება პრეზიდენტყოფილის საქართველოში დაბრუნების შესახებ, ოცნებად დარჩება და თუ ის სატუსაღოში არ ამოყოფს თავს, დარწმუნებული ვარ, მთიელი ხალხის კონფედერაციის მომავალ სხდომაზე მას ჩალმით თავდახურულს ვიხილავთ.

გჯეროდეთ, თანამემამულენო! ქართველი კაცი თავისუფლების დაკარგვას არ შეურიგდება და არც არავის აპატიებს თავისი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას. გახსოვდეთ, რომ ისტორია ყველაფერს აღრიცხავს და გაგრის ზონაში დროებითი მარცხი რომ ნამდვილად დროებითია, ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ყველას, მათ შორის, პირველ რიგში ჩვენს მოწინააღმდეგეებს. ეს შეგვიძლია გავაკეთოთ და ეს უნდა გავაკეთოთ, რადგან ჩვენ ვიცავთ სამშობლოს ინტერესებს, მის ტერიტორიულ მთლიანობას და ამდენად ჩვენი მოქმედება სამართლიანია.

ღმერთი იყოს ჩვენთან.

მიიღეთ ჩვენი სისხლი

ამ დღეებში სრულიად საქართველო, დიდი და პატარა აფხაზეთზე ფიქრობს, თუ რით უშველოს ჩვენს საომარ ძმებს.

— მოწოდებას, რომ სისხლი გაიღონ მოქალაქეებმა დაჭრილთა დასახმარებლად, უმალ გამოეხმაურა თბილისის მოსახლეობა, წარმოება-დაწესებულებები, — გვიამბობს სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგურის მთავარი ექიმი [illegible] ჩხაიძე. — სისხლის უსასრულოდ ჩამბარებლების მთელი ნაკადი წამოვიდა. მოდიან ცალკეული პიროვნებები, ორგანიზაციები, რომელთა ყველა თანამშრომელი თანახმაა გაიღოს სისხლი, სადგურიდან ადგილებზე ითხოვენ ბრიგადებს. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ერთ-ერთმა პირველებმა ჩააბარეს სისხლი, ასევე სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა. დაგვირეკეს იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან, გენეტიკური ეკოლოგიის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრიდან, ინსტიტუტ „რადიანიდან" და სხვა ორგანიზაციებიდან. მსურველები ძალიან ბევრია და ყველა ითხოვს ადგილებზე ბრიგადის მისვლას. ამ მხრივ ჩვენ პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით — ხელს გვიშლის საწვავის უქონლობა. მაგრამ, ისიც ხდება, რომ მსურველები გვთავაზობენ საკუთარ ბენზინს.

სისხლის აღება გრძელდება.

გულიკო მარკოზაშვილი.

არჩევნები, კანონი და ჩვენ

აპოლონ სილაგაძე

საზოგადოებამ საკმაო ხანია შეამჩნია ჩვენში ოფიციოზის და პოლიტიკოსთა საგრძნობი ნაწილის არაპროფესიულობა, რაც ერთ კერძო საუბარში მოსმენილი ასეთი ხატოვანი ფორმულით შეიძლება ვთქვათ; პოლიტიკოსები მღერიან, ხოლო მომღერლები პოლიტიკოსობენ.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ამით არ მთავრდება ყველაფერი, სერიოზული საქმეების მიმართ ჩვენი ფუქსავატური დამოკიდებულების უკან სხვა, უფრო დამაფიქრებელი მოვლენებიცაა, რისი გამოხატვაც ასეთი გავრცობილი ფორმულით შეიძლება: პოლიტიკოსები მღერიან, მომღერლები პოლიტიკოსობენ, ხოლო ყველანი ერთად აბუჩად ვიგდებთ კანონს და საკუთარ, პირადულ და არა საზოგადოებრივ ინტერესებს უზრუნველვყოფთ.

ჩვენ ამას გამუდმებით და, შეიძლება ითქვას, მეთოდურად ვაკეთებთ. მოყოლებული 28 ოქტომბერს არჩეულ პარლამენტში დაწყებული უკანონობიდან და დამთავრებული დუხჭირი დღევანდელობით, როდესაც დავუშვით უკანონო რამდენიმეხელისუფლებიანობა, როდესაც არავინ არაფერი არ იცის. ისიც კი, როგორ ვმოქმედებდით და ვმოქმედებთ აფხაზეთში — გასამართლებლად თუ დასამარცხებლად.

კანონის უპატივცემულობის და საკუთარ ინტერესებზე ზრუნვის ერთმანეთთან დაკავშირება არავის არ უნდა მოეჩვენოს არაკორექტულად, რადგანაც ორივე შემთხვევა ერთ შედეგში ერთიანდება — საქმის კეთებაში. არაკორექტული ამ შემთხვევაში ის არის, რასაც ჩვენ გაუთავებლად მივმართავთ — მაღალფარდოვანი აპელირება მორალის, ჩვენი გენეტიკური სრულყოფილების, ძლიერი პოტენციალის მიმართ, იმედის გამოთქმა, რომ სინდისი გაიმარჯვებს და ჩვენი თანამემამულეები თავ-თავიანთ მოვალეობებს შეასრულებენ. ეს არის ფუჭი საქმიანობა, რადგანაც მხოლოდ კანონების — იურისპრუდენციით ან საზოგადოების მიერ კომუნალურად გაფორმებულების — პატივისცემა და დაცვა უზრუნველყოფს საკუთარი, ვიწრო (და, როგორც წესი, ანტისაზოგადოებრივი) ინტერესების ნეიტრალიზებასაც და საქმის, და არა უსაქმურობისა და ერთი ადგილის ტკეპნის, (რაც, საბოლოო ჯამში ასევე ანტისაზოგადოებრივია) დამკვიდრებასაც.

საერთოდ კი, არსებობს პოლიტიკური ლოგიკა, სხვა ლოგიკა (შინაპიროვნულ, შინაპარტიულ და შინაკლანურ ინტერესებზე დამყარებული) დამღუპველია; არსებობს გლობალური ლოგიკა, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული, სხვა ლოგიკა (წუთიერ და დღევანდელ ინტერესებზე დამყარებული) დამღუპველია.

სამწუხაროდ, სწორედ ლოგიკისა და მომავლის შენების ინტერესების საწინააღმდეგოდ, ჩვენში, შეიძლება ითქვას, გამეფებულია კანონის უპატივცემულობა. უკანონობის პირობებში ვერაფერი განხორციელდება — ვერც რეფორმა, ვერც ადამიანთა დაპურება, ვერც პოლიტიკა, და ვერც რევოლუცია. აბსოლუტურად უპერსპექტივოა ცხოვრება ისეთ ქვეყანაში და ისეთ ვითარებაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ხოლო ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში და ისეთ ვითარებაში, როდესაც არ არსებობს ერთი მაინც ტელეფონი თუ მისამართი, ყველასათვის ცნობილი, რომელსაც უკანონობის აღმოჩენის შემთხვევაში ადამიანს შეუძლია მიმართოს და ადეკვატური შედეგის იმედი იქონიოს.

კანონის უპატივცემულობა, სამწუხაროდ, წინასაარჩევნო კანონმდებლობით საქმიანობაშიც გამჟღავნდა. და ეს განსაკუთრებითაა სავალალო, რადგანაც, ჯერ ერთი, იმ ვითარებაში, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა, საარჩევნო კანონის საკუთარ სურვილებთან გაუთავებელ მისადაგებაზე ზრუნვა კი არ იყო საჭირო, არამედ საქმის მიხედვა, აფხაზეთზეც ფიქრი და ჩვენს საწყალ თანამემამულეზეც ფიქრი, ეს ჩვენ, სხვათა შორის, სწორედ კანონით გვევალებოდა. მეორეც, სწორედ არალეგიტიმურ ხელისუფლებას და იმ საზოგადოებას, რომელიც ხელისუფლების არალეგიტიმურობის პირობებში ცხოვრობს, უნდა გამოეჩინა დემონსტრაციული განზრახვა კანონის მიმართ პატივისცემისა; მესამეც სადმე და რაიმეში, გამომდინარე ჩვენი ტრაგიკულად დაძაბული საერთო მდგომარეობიდან, კანონის დავიწყება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ საარჩევნო კანონის მიმართ მხოლოდ უკიდურესად ფაქიზი დამოკიდებულება იყო საჭირო, რადგანაც ეს კანონი საფუძვლად უდევს მომავალ სამართლებრივ სახელმწიფოს, მის წარმომადგენლობით, კანონმდებელ ორგანოს, და, საერთოდ, კანონიერ მმართველობას, პოლიტიკას და ცხოვრებას.

რა გვქონდა ჩვენ სინამდვილეში?

საარჩევნო კანონის ცვლა, ე. ი. მიღებული კანონის მიმართ აგდებული დამოკიდებულება. შეიძლება დღეს, დღევანდელ ვითარებაში, ვინმეს ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება არააქტუალურად მოეჩვენოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში აქტუალურია არჩევნების საკითხი, და თუ ჩვენ წინასწარ კატეგორიულად განვაცხადებთ, რომ არჩევნები აუცილებლად უნდა ჩატარდეს მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს კანონი, მაშინ იმის განცხადებაც შეგვიძლია, რომ კანონის მიმართ თავისუფალი მოქცევის თვით ფაქტი არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე. ეს ჩვენს მომავალს არ არგებს. ჩვენ იგი უნდა გავაანალიზოთ, განვსაზღვროთ მექანიზმი და აქედანვე მოვემზადოთ შესაძლო ნეგატიური შედეგების ბლოკირებისათვის.

საარჩევნო კანონის რამდენიმეგზისი შეცვლის ნეგატიური მხარე, პირველ რიგში, იმით გამოიხატება, რომ შეიქმნა პრეცედენტი. ეს პრეცედენტი სამ ასპექტს გულისხმობს, ჩვენი, მოკვდავთა მხრიდან სამნაირი დაშვების შესაძლო განხორციელებას. ჯერ ერთი, თუ კანონმდებლობითი ორგანოს არჩევის კანონის მიმართ შეიძლება არსებობდეს თავისუფალი დამოკიდებულება, მაშინ ასეთი დამოკიდებულება ყველანაირი კანონის მიმართ დასაშვებია. მეორეც, თუ ამგვარი დამფუძნებელი კანონის მიმართ შეიძლება არსებობდეს თავისუფალი დამოკიდებულება, მაშინ ამ კანონის საფუძველზე შექმნილ ორგანოს შეიძლება საერთოდ კანონის მიმართ იგივე დამოკიდებულება გადაჰყვეს, შეიძლება არჩევნების შედეგების რევიზიაც მოუვიდეს ვინმეს თავში (საამისო გამოცდილება წინა პარლამენტმა უკვე შექმნა). მესამეც, თუ პარლამენტი ასეთი დამოკიდებულებით და კანონის რამდენიმეჯერ შეცვლის გზით იქნა მიღებული, შეიძლება გაჩნდეს პრეტენზია მის მიმართ, ისეთი, რომ იგი არასრულყოფილი კანონის საფუძველზე შექმნილი, ისეთიც კი, რომ იგი უკანონო საფუძველზე გაჩნდა.

ყველა ამ შემთხვევაში მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის, რომ, ჯერ ერთი, დღეს არსებობენ ძალები, რომლებიც არჩევნების და ახალი პარლამენტის მოწინააღმდეგენი არიან და ბოიკოტსაც ახორციელებენ, მეორეც, ხვალ იარსებებენ პარტიები, რომლებიც პარლამენტში ვერ შევიდნენ.

გასათვალისწინებელია ის ჭეშმარიტებაც, რომ, საერთოდ, სტაბილური პარლამენტი და მასში პროდუქტიული საქმიანობა იწყება საარჩევნო კანონით და მისი რეალიზებით.

თუ ვიღაცას, საარჩევნო კანონთან ამდენი შეჭიდებისას, კეთილშობილური ზრახვები ამოძრავებდა, უნდა განვაცხადო, რომ მას ამ დროს ახსოვდა არჩევნები, მაგრამ დაავიწყდა პარლამენტი: ჩვენ შეიძლება გარკვეული მოგება ვნახეთ იმ თვალსაზრისით, რომ ტრანსფორმირებული კანონი ყველასათვის მისაღები გახდა და ამიტომ არჩევნები შედარებით ნაკლები შინაგანი დაძაბულობის პირობებში ჩატარდება, მაგრამ, მეორე მხრივ — და მთავარი ესაა, — ასეთი მოგება შეიძლება იმ დიდი წაგების ფასად მოხდა, რომ შეიქმნა რაღაც პირობები მომავალ პარლამენტში დაძაბულობისთვის და არაორგანიზებული და არაპროდუქტიული საქმიანობისთვის.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ზრახვები არ იყო გამომდინარე საზოგადო ინტერესებიდან.

ჯერ იქმნება და მიიღება კანონი, რომელიც არავის არ მოსწონს. შემდეგ დაახლოებით იკვეთება ძალთა თანაფარდობა და — კანონი რადიკალურად იცვლება. შემდეგ პარტიები და ბლოკები გამოეწყობიან ახალი კანონის მიხედვით და ირკვევა, რომ შევარდნაძე ერთ-ერთ ბლოკში შედის, და — კანონი ისევ იცვლება, ჩნდება უცნაური პუნქტი იმის შესახებ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე პარლამენტის ჩამოყალიბებამდე უნდა იქნას არჩეული.

განსაკუთრებითაა გასახსენებელი ერთი ფაქტი. საარჩევნო კანონის რადიკალურად შეცვლას წინ უძღოდა პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფის ინიციატივა, ყველა პარტია გაერთიანებულიყო ერთ დიდ ბლოკად, არგუმენტი — ვითარება ძალიან რთულია და ა. შ. მაგრამ რას ნიშნავს ფაქტობრივად ასეთი წინადადება? მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ, ჯერ ერთი, ამ ბლოკის სიაში, შემცირებული დოზებით, ყველა პარტია იქნებოდა წარმოდგენილი, მეორეც, იმას, რომ ეს სია მთლიანად შევიდოდა პარლამენტში (რადგანაც იდეალურ შემთხვევაში პრაქტიკულად სხვა სია არ იარსებებდა), და ბოლოს, იმას, რომ არჩევნები ფაქტობრივად ამ სიის შედგენით დამთავრდებოდა, 11 ოქტომბერი მხოლოდ ფორმალური და ზედმეტი პროცედურა იქნებოდა, ამომრჩეველს არაფერი ეკითხებოდა, არც პარტიებს ექნებოდათ რაიმე საზრუნავი.

ეს ფაქტები კომენტარს არ საჭიროებენ: ყველაფერს განაპირობებს შექმნილი კონიუნქტურა, ხოლო მისი შეფასების ერთადერთი კრიტერიუმია ის, თუ რამდენად მაძლევს იგი ხელს.

(დასასრული მე-6 გვ.;)

ვინ ვინ, მაგრამ დედებმა ყველაზე უკეთ ვიცით!

მივმართავთ ჩვენს მანდილოსანთ

ჩვენო ძვირფასო, დარდითა და ვარამით აღსავსე, თვალცრემლიანო, გამწარებულო დედებო, დებო, შვილებო, ქალიშვილებო! მოგმართავთ ჩვენი სამშობლოს ამ უკიდურესი ძნელბედობის ჟამს.

დღეს ჩვენი მამული — საქართველო განსაცდელშია: აფხაზების, ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის ტერორისტულმა ბანდებმა ურთიერთშეთანხმებით ხელყვეს და ცეცხლითა და მახვილით დაიკავეს საქართველოს ძირძველი მიწის ნაწილი აფხაზეთში. დაგვიხოცეს და დაგვიჩეხეს შვილები, ქმრები, ძმები, დაგვიწვეს სახლები, შეგვიგინეს ქალები. თავს ვხრით რა დაღუპული ახალგაზრდობის წინაშე, ქებითა და დიდების შარავანდედით გმოსავთ თქვენ, დაღუპულ შვილთა დედებს, რომელთაც სამშობლოსათვის თავდადების, სიყვარულის გრძნობებით აღზარდეთ თქვენი შვილები. ისტორია არასოდეს დაივიწყებს ამ გმირობას. მათი და თქვენი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენი მარად ტანჯული ერის ისტორიაში. სწორედ დღეს ყველას— მტრის და მოყვრის — გასაგონად უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ, ქალები აღვუდგებით წინ იმ ძალას, რომელიც საქართველოს განხლეჩას, მისი მიწის ხელყოფას ცდილობს. უნდა გვჯეროდეს და გვწამდეს, რომ ჩვენ არავის შევარჩენთ ჩვენი შვილების დაღვრილ სისხლს, არავის დავუთმობთ საქართველოს ერთ გოჯ მიწასაც კი. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, ჩვენ ნამდვილად ავაშენებთ თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს.

ახლა კი გვინდა მოგმართოთ თხოვნით — ერთსულოვნად დავუჭიროთ მხარი თბილისში მოსახლეობის მიტინგზე გამოცხადებულ მოწოდებას: ყველამ მივიღოთ მონაწილეობა აფხაზეთში გასაგზავნად თბილი ტანსაცმლის მოგროვებაში. ვინ-ვინ, მაგრამ სწორედ დედებმა ყველაზე უკეთ ვიცით, რა უნდა ჩავაცვათ ჩვენ შვილებს, როცა მათ სცივათ, როცა ისინი იარაღით ხელში იცავენ სამშობლოს, გვიცავენ ჩვენ, ჩვენს შვილებს, ჩვენს ოჯახებს.

ძვირფასო ქალებო! თქვენს მიერ ლოცვით გაგზავნილი თბილი წინდა, თბილი ტანსაცმელი თუ ფეხსაცმელი არა მარტო გაათბობს ხორციელად, არამედ გაამხნევებს, სულიერად აღამაღლებს და გააძლიერებს მათ სამართლიან ბრძოლაში.

როგორც იცით, ტანსაცმლის შეგროვება ჯარისკაცებისათვის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარეობს, ხოლო აფხაზეთიდან ჩამოსული ლტოლვილებისათვის — სასტუმრო ივერიის პირველ სართულზე.

რაც შეეხება რესპუბლიკის ქალთა საბჭოს, გადავწყვიტეთ ჩვენი შესაძლებლობების გათვალისწინებით თავდაცვის სამინისტროს ფონდში გადავრიცხოთ შვიდი ათასი მანეთი, ხოლო აფხაზეთის ლტოლვილთა ფონდში — სამი ათასი მანეთი.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ მხრივ დიდ ორგანიზატორულ მუშაობას გასწევენ რაიონებისა და ქალაქების, შრომითი კოლექტივების, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით არსებული ქალთა საბჭოები.

დიდება და გამარჯვება ერთიან, დემოკრატიულ, თავისუფალ საქართველოს!

რესპუბლიკის ქალთა საბჭოს პრეზიდიუმი.

ჩვენი მცირე სამკაულები ეროვნულ განძად ვაქციოთ და იგი ჩვენვე დაგვიბრუნდება!

მიმართვა საქართველოს ქალებს

ძვირფასო ქალბატონებო! საქართველოს ძნელბედობის ჟამს ჩვენი ქალები ყოველთვის იჩენდნენ დიდ ცხოვრებისეულ ალღოს და სიბრძნეს, რაც ქვეყნის ფიზიკურ და სულიერ გადარჩენას და აღორძინებას ემსახურებოდა, განგებამ ალბათ ერთხელ კიდევ დაგვაკისრა ეს დიდი მისია — მხარში ამოვუდგეთ ჩვენს საყვარელ სამშობლოს — საქართველოს ახლა, როდესაც ჩვენს მამულს ასე უჭირს, უჭირს მრავალმხრივ — ზნეობრივად, სულიერად, ნივთიერად.

ჩვენ უფლება არა გვაქვს სამშობლოს განსაცდელის ჟამს უმოქმედოდ ვიყოთ. ამიტომ საზოგადოება „თბილისელის" ქალთა საკრებულო მოგმართავთ თხოვნით საფუძველი ჩავუყაროთ საქართველოს ოქროს ფონდს.

ყოველმა თქვენგანმა მისხალი ოქროც რომ შესწიროს ამ კეთილშობილურ საქმეს, ეს დიდ ეროვნულ საგანძურად იქცევა, რომელიც ჩვენს შვილებს, ჩვენს მამულს წაადგება. იმედი გვაქვს, ამ წამოწყებაში ჩაებმებიან საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების მანდილოსნები.

ძვირფასო ქალბატონებო! მოდით ვაქციოთ პატარ-პატარა სამკაულები ეროვნულ განძად და იგი ჩვენვე დაგვიბრუნდება, რადგან საერთო, ყველაზე არსებითის, ყველაზე სასიცოცხლო და აუცილებელ ეროვნულ საჭიროებას მოხმარდება. განძი დაცული იქნება სახელმწიფო ბანკში, იგი ხელშეუხებელი იქნება და მხოლოდ ქალთა საკრებულოს თანხმობით უაღრესად კრიზისულ მომენტში მოხმარდება ქვეყანას.

მართალია, ქველმოქმედებას თავმდაბლობა შვენის, მაგრამ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს გამოვაქვეყნოთ მათი გვარი და სახელი, ვინც მიიღებს მონაწილეობას ამ პატრიოტულ წამოწყებაში.

იმედი გვაქვს, როგორც ყოველთვის, ამ საშვილიშვილო საქმეში მხარს დაგვიჭერენ და გვერდში ამოგვიდგებიან ჩვენი მამები და ძმები.

შთამომავლობა ღირსეულად დააფასებს თქვენს ღვაწლს!

მსურველებს გთხოვთ მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: ჯორჯიაშვილის ქ. №14, საქმრეწვმშენბანკი, მეორე სართული, ოთახი №288, 12 ოქტომბრიდან ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10 საათიდან 18 საათამდე.

საზოგადოება „თბილისელის" ქალთა საკრებულო.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გავრცელდა ძირითად დოკუმენტად

7 ოქტომბერს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირადი წარმომადგენელი, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი თედო ჯაფარიძე ნიუ-იორკში შეხვდა საფრანგეთის მუდმივ წარმომადგენელს გაეროში ბატონ მერიმეს, რომელიც ამჟამად ასრულებს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას. ბატონ მერიმეს გადაეცა სპეციალური მოხსენება, რომელიც ოპერატიულად გავრცელდა, როგორც უშიშროების საბჭოს სხდომის ძირითადი დოკუმენტი (მოხსენების ტექსტი დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში).

ჯაჭვური რეაქციის საფრთხე

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები, მათ შორის, რადიოსადგურები ამერიკის ხმა, ბი-ბი-სი, „თავისუფლება", „გერმანული ტალღა", აგრეთვე იტარ-[illegible] ფართოდ აშუქებენ აფხაზეთში და მის ირგვლივ შექმნილ სიტუაციას. ეს გასაგებიცაა.

ამ დღეებში დასავლეთის ყველა დიდი საინფორმაციო სააგენტო გადაცემებს იწყებს ცნობით იმის შესახებ, რომ საქართველომ მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სასწრაფოდ მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა ქვეყანაში შექმნილი ვითარების განსახილველად.

წერილში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ჟან-ბერნარ მერიმეს (საფრანგეთი) სახელზე ნათქვამია, რომ საქართველოში სერიოზულად გაუარესდა მდგომარეობა აფხაზეთის კონფლიქტის გამო, რომელიც საფრთხეს უქმნის რეგიონულ მშვიდობასა და უშიშროებას. საქართველოს სურს, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღოს რეზოლუცია კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის და ადგილზე გაგზავნოს გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი და 10-15 მეთვალყურე. ჟან-ბერნარ მერიმემ განაცხადა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები შეშფოთებული არიან საქართველოში ვითარების გაუარესების გამო, მათ გამოთქვეს სურვილი, რომ მხარეებმა შეასრულონ მოსკოვში 3 სექტემბერს ხელმოწერილი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შეთანხმება. ნიუ-იორკში მყოფმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ თ. ჯაფარიძემ ჟურნალისტებს კერძოდ უთხრა, რომ ძალზე აღელვებთ საომარი მოქმედების ზონაში შექმნილი მდგომარეობა, განსაკუთრებით აწუხებთ მესამე ძალის მონაწილეობა, რომელიც აქტიურად ერევა მოვლენების მსვლელობაში. რომ ამას უკვე ვუწოდეთ „გენერლების შეთქმულება", რომლებიც სათავეში უდგანან საქართველოს ამ ნაწილში განლაგებული რუსეთის არმიის ნაწილებს. როგორც ჩანს, ამ გენერლების მოქმედებას კონტროლს ვერ უწევს რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. რომ კონფლიქტში ჩართულია ასობით რუსის ჯარისკაცი. რაიონში თავმოყრილია დიდძალი საბრძოლო ტექნიკა, საქართველოს ხელმძღვანელობა ამაში დიდ საფრთხეს ხედავს, საქმე ეხება აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ტერიტორიიდან.

თუ ვისთან შეკრეს ალიანსი რუსეთის რეაქციულმა წრეებმა, ამას ნათლად ადასტურებს 4 ოქტომბერს გროზნოში დამთავრებული ე. წ. კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის საგანგებო ყრილობის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ უნდა მოხდეს რუსეთის ფედერაციული ხელშეკრულების დენონსირება, ცნონ ჩეჩნეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, შექმნან რეგიონული უშიშროების ერთობლივი ძალები.

კონფედერაციის პარლამენტის თავმჯდომარემ იუსუფ სოსლანბეგოვმა განაცხადა, რომ თუ შევარდნაძე აფხაზეთში 40 ათას რეზერვისტს შეიყვანს, ჩვენც 40 ათას საუკეთესო მეომარს გავგზავნით. კონფედერაციის პრეზიდენტმა მუსა შანიბოვმა აღნიშნა: კავკასიაში არ იქნება სტაბილური სიტუაცია, ვიდრე არსებობს ტერორისტული რეჟიმი თბილისში, რომელიც რუსეთის ხელმძღვანელობის რეაქციულ ძალებთან კავშირში აფხაზეთის ხალხის მიმართ გენოციდს ახორციელებს. რადიოსადგურებს მოჰყავთ ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის სიტყვები, რომ კავკასიაში ბოროტებისა და ძალმომრეობის წყარო რუსეთის ფედერაციის რეაქციული ხელმძღვანელობაა, რადიოსადგურმა „თავისუფლებამ" გადმოსცა ინტერვიუ კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პარლამენტის პირველ ვიცე-თავმჯდომარესთან გენადი ალამიასთან. მან უარყო აფხაზთა მხარეზე რუსების ჯარების მონაწილეობა. ამასთანავე დიდი მადლობა გამოთქვა რუსეთის პარლამენტის მხარდაჭერასთან დაკავშირებით, რამაც „ჩვენ აღგვაფრთოვანა. ელცინი კი ხელებს უგრეხდა არძინბასო"... ამასთანავე თქვა, რომ უნდა გადაისინჯოს რუსეთის ფედერაციული ხელშეკრულება. იგი ირწმუნებოდა, რომ როცა აფხაზები თავის მიწა-წყალს გაათავისუფლებენ, ენგურის გადაღმა არ გადავლენ. დასავლეთის რადიოსადგურები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დასავლეთში გაგებით ეკიდებიან საქართველოს ჭეშმარიტ ინტერესებს. მოჰყავთ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კენტ ბრაუნის სიტყვები, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკა ჯერ პოლიტიკურ და მორალურ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს, ცნობს მის ტერიტორიულ მთლიანობას, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა კეთილგანწყობილია საქართველოს მიმართ.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წერილობით განცხადებაში ნათქვამია, რომ „შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს ძალისხმევას, რომლის მიზანია კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა საქართველოში, კერძოდ, ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების შუამავლობით, როგორიც ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თათბირია". მიღებული ცნობით, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი მალხაზ (ჯონ) შალიკაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სახელმწიფო მდივანს გენადი ბურბულისს და გადასცა, რომ მოხარული იქნება, თუ რუსეთის მხარე მტკიცედ დაიცავს 3 სექტემბერს მოსკოვში მიღწეულ შეთანხმებას, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მოაწერეს ხელი. რადიოსადგურ „თავისუფლების" ცნობით, გაეროს უშიშროების საბჭო 8 ოქტომბერს განიხილავს საქართველოს მიმართვას ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და დააკმაყოფილებს საქართველოს თხოვნას. რადიოსადგური აღნიშნავს აგრეთვე, რომ დღესვე ბრიუსელში ნატოს შტაბბინაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჩიქვაიძის მონაწილეობით განიხილავენ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიმართვას, და დასძენს, რომ ნატოს გენერალურმა მდივანმა მანფრედ ვიორნერმა დიდი წუხილი გამოთქვა შექმნილი ვითარების გამო, როცა გაეცნო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მიმართვას.

ახლახან მიღებული ცნობით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ თ. ჯაფარიძემ წინასწარი კონსულტაციების შემდეგ ბატონ მერიმეს გადასცა მოხსენების ოფიციალური ტექსტი. გაგრძელდა წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებთან. გაიმართა შეხვედრა გაეროს გენერალურ მდივანთან ბუტროს გალისთან, რომელსაც ესწრებოდა მისი მოადგილე (ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე) ვლადიმერ პეტროვსკი და ბატონი ფეისალი (ბუტროს გალის სპეციალური წარმომადგენელი) რომელიც რამდენიმე ხნის წინ საქართველოში იმყოფებოდა, ადგილზე შეისწავლა არსებული ვითარება და ობიექტური მოხსენება წარუდგინა გაეროს გენერალურ მდივანს. ბუტროს გალიმ აღნიშნა, რომ ყურადღებით ადევნებს თვალყურს მოვლენებს აფხაზეთში, ხაზი გაუსვა საქართველოს როლს რეგიონში და თქვა, რომ რაც შეიძლება მალე უნდა დაემგზავროს საქართველოში მისი პირადი წარმომადგენელი, მისი მოადგილე. მასთან ერთად საქართველოში ბატონი ფეისალი ჩამოვა, ჩამოვა აგრეთვე მეთვალყურეთა (მათ შორის სამხედროები) ჯგუფი. მისია ორშაბათს უკვე თბილისში ჩამოფრინდება

ირაკლი ჯაფარიძე.

არჩევნები, კანონი და ჩვენ

(დასასრული)

ამგვარი კრიტერიუმით მოქმედების ერთადერთი შედეგი საერთოდ ის შეიძლება იყოს, რომ კანონის გაუთავებელი ვარცხნის პროცესში ზარალდება მისი მიზანდასახულება. ჩვენს შემთხვევაში გარკვეულ ინტერესებზე ზრუნვა, ერთი შეხედვით, საკმაოდ სოლიდურად და კეთილშობილურად ჟღერდა: პარლამენტში შეძლებისდაგვარად მთელი პოლიტიკური სპექტრი უნდა იყოს წარმოდგენილი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამასაც და ყველაფერ სხვასაც — საბოლოოდ, მთელ პროცესს — განსაზღვრავს ფილტრაცია, სხვა სიტყვებით — არჩევნები და ამომრჩეველი. სხვანაირი საქმის მოფიქრება, ეს ხელოვნურობაა, რომელსაც უკვე სხვა და არა ყველასათვის ცნობილი მიზანი შეიძლება ედოს საფუძვლად. პოლიტიკური სპექტრის სიმდიდრეს თუ სიმწირეს პარლამენტში არა საარჩევნო კანონით მანიპულირება უნდა უზრუნველყოფდეს, არამედ სწორედ არჩევნების პროცესი და მასში განხორციელებული ფილტრაცია. არაფილტრირებული სპექტრი, ჭრელი იქნება იგი თუ ერთფეროვანი, არაბუნებრივია და უპერსპექტივო. ვიღაცამ უნდა გაიმარჯვოს, ვიღაც უნდა დამარცხდეს (არჩევნები სხვა პროცესს და სხვა შედეგს არ შეიცავს), დამარცხებულს სამწლიანი დრო ექნება თავისი პოზიციისა და პროგრამის კორექტირებისათვის, შემდეგ კი ახალი ციკლი მოდის. ჩვენ კი, ფაქტობრივად იმისათვის ვილწოდით, რომ ისტორიის მსვლელობისათვის და ელექტორატისათვის შეძლებისდაგვარად შეგვეზღუდა საშუალება, თვითონ განესაზღვრათ პროცესი, სამაგიეროდ მაქსიმალურად გავუზარდეთ მონაწილეებს საშუალება, ხელოვნურად გაეუმჯობესებინათ თავიანთი პერსპექტივა. ბუნებრივი განთესვა, რაც ასე საჭირო პოლიტიკოსთა და ელექტორატის უშუალო შეხებისას, ვერ ხორციელდება, ვერ იქმნება საფუძველიც მომავალი პოლიტიკური ცხოვრების ტალღური დინამიკისათვის — ამ ციკლში ოფიციალური პოლიტიკური სცენის ფაქტობრივად ყველა ელიტარული მონაწილე ხელისუფლებაშია, შესაბამისად, მომდევნო ციკლშიც დაახლოებით იგივე სურათი და იგივე მონაწილეები იქნებიან (ამ და ზოგ სხვა შემთხვევაში არ იგულისხმებიან ის ოდიოზური ორგანიზაციები და ოდიოზური ფიგურები, რომლებიც, არავინ იცის, საიდან გაჩნდნენ).

მთელ ამ კონტექსტში განსაკუთრებული ნიშანდობლიობით ჟღერს პარლამენტის თავმჯდომარის არჩევის ახალი წესი. ისევ და ისევ — კანონს დადევნებული სასურველი შესწორება. სახელმწიფო საბჭომ თავის დროზე უარყო იდეა იმის შესახებ, რომ გარკვეული რაოდენობის კანდიდატები მაჟორიტარულად არჩეულიყვნენ მთელი მოსახლეობის მიერ, ამ შემთხვევაში მათ არ მოუწევდათ რომელიმე პარტიას ან ბლოკს დაკავშირებოდნენ. შემდეგ, როდესაც ედუარდ შევარდნაძეს აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ აერჩია ბლოკი, პარტიებმა სხვა თვალით შეხედეს რეალობას და გაჩნდა ახალი კანონი თავმჯდომარის შესახებ.

საბოლოოდ მივიღეთ შემდეგი: ჯერ ერთი, ორიენტირი ისევ კონიუნქტურაა, რომელიც ამ შემთხვევაში შევარდნაძის არსებობას გულისხმობს; მეორე, პარლამენტს წაერთვა უფლება, აირჩიოს თავისი სპიკერი და, რაც მთავარია, აირჩიოს იგი დეპუტატთა კორპუსიდან; მესამე, პარლამენტს წაერთვა უფლება, გადააყენოს იგი, რადგანაც არჩევა საყოველთაო-სახალხოდ მოხდა; მეოთხე, პარლამენტის თავმჯდომარეს ვირჩევთ ისე, როგორც სახელმწიფოს პრეზიდენტს; მეხუთე, შეიქმნა გართულებული და ხელოვნური ვითარება, რომელიც, თავისი ორიგინალობის გამო, პარლამენტის მომავალი ხელმძღვანელისათვისაც პრობლემების საფუძველი შეიძლება გახდეს.

პრობლემა კი არსებობს: ახალი წესით არჩეული თავმჯდომარე ერთგვარად ჰაერშია გამოკიდებული, იგი არავის დაყრდნობია, მას თავისი გუნდი არ ჰყავს, მას არავისზე გაუმარჯვია. მხოლოდ კორექტული პოლიტიკური ბრძოლა და გამარჯვება არჩევნებში, საკუთარ პარტიასთან და ბლოკთან ერთად, უქმნის ლიდერს ნორმალური და სტაბილური მოღვაწეობის გარანტიას. ჩვენ ეს საშუალება მას შევუზღუდეთ.

საბოლოოდ, მთელი ამ პროცესების შედეგად ორი რამ მივიღეთ:

1. კანონზე მაღლა დადგომის არამეორეხარისხოვანი პრეცედენტი.

2. საკუთარ და არა — საზოგადო ინტერესებზე ორიენტირება.

შეიძლება დავინახოთ ორი ამოსავალი სურვილი და მიზანი:

1. ვიღაცას არ უნდოდა არჩევნები, მაგრამ ეს პროგრამა-მაქსიმუმი იყო, ძნელად რეალიზებადი, რომელიც ვერ განხორციელდა (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით).

2. პროგრამა-მაქსიმუმის განუხორციელებლობის შემთხვევაში, ვიღაცას არ უნდოდა მომავალი ძლიერი ხელისუფლება — ეს პროგრამა-მინიმუმი იყო, რომელიც უკვე არჩევნებამდეა მიღწეული.

სამწუხაროა, რომ ამ კულისებიქითა გლობალურ სურვილებს დაემთხვა პარტიების (ნაწილის) და სახელმწიფო საბჭოს (ნაწილის) ვიწრო ინტერესები.

ზოგიერთი შედეგი უკვე გაცხადებულია.

ჩვენ არ გავითვალისწინეთ, რომ არჩევნების პოზიციებიდან დღეს ძალიან ჭრელი, და ამდენად რთული, სიტუაციაა, და იგი, პირველ რიგში, ამომრჩეველს აწვება ტვირთად. ამიტომ ამ სიტუაციას რაღაცა მხრიდან გამარტივება ესაჭიროებოდა და არა დაბლართვა. პარტიები, როგორც ასეთნი, დღეს არ არსებობენ. არ არსებობდნენ ისინი არც წინა არჩევნების დროს, მაშინ პერსპექტივა ასეთი ისახებოდა: პარტიებად ნამდვილი დიფერენციება პარლამენტში განხორციელდება. ეს პროცესი, სამწუხაროდ, არ შედგა. იგი, როგორც ჩანს, მომავალ პარლამენტზე გადაიტანება. დღეს წინასაარჩევნო განლაგებაში არსებითად ჩვენ გვაქვს არა პარტიები, არამედ პროტოპარტიები, რა თქმა უნდა, გარკვეული მომავლის მქონენი. სხვა საქმეა, რომ დღევანდელი სიტუაცია არ უდრის ზუსტად წინას. მაგალითად, აღარ არსებობენ პროფაშისტური და პროკომუნისტური ორგანიზაციები, არ შექმნილა მოსალოდნელი ბურგერული ორგანიზაციები. ამ მხრივ, სპექტრი ერთგვარად გაიწმინდა. მაგრამ, მეორე მხრივ, აიმღვრა — იმის გამო, მაგალითად, რომ დღეს შექმნილ ე. წ. სოციალისტური მიმდინარეობის ორგანიზაციებს არაფერი აქვთ საერთო ევროპული ტიპის ანალოგიურ მოძრაობებთან და აშკარად აუარესებენ ჩვენში მემარცხენე ორიენტაციის ძალების პოზიციებს. საერთოდ, ისევ ევროპული და კლასიკური გაგებით, შკალის ორი მხარე — მარცხენა და მარჯვენა ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. თვითონ საარჩევნო ბლოკებსა და პარტიებს რაც შეეხებათ, ყოველი მათგანი დღეს უფრო კლიენტელაა, ერთგვარი სახლი, პიროვნებათა და არა იდეოლოგიების და კრისტალიზებული პროგრამების ირგვლივ გაერთიანებული. ერთი სიტყვით, ელექტორატს დღეს საკმაოდ უჭირს და აშკარად ყოყმანობს არჩევნის გაკეთებაში. ელექტორატი დღეს უფრო საშუალებაა, ვიდრე სუბიექტი...

ერთ-ერთი შედეგი ისიცაა, რომ ოფიციალურ ხალხს და პარტიებს წინასაარჩევნო ფაცა-ფუცში ნაკლები დრო დარჩათ უმწვავესი პრობლემებისათვის. ხოლო დღეს აფხაზეთში სისხლიანი ტრაგედიაა. სახელმწიფო საბჭოს, მთავრობას და ხელისუფლებაში მყოფ პარტიებს ასე არ უნდა დაესრულებინათ თავიანთი მოღვაწეობა...

შედეგი ისიცაა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში, ეგოისტური მისწრაფებების სიჭარბის გამო, კვლავ გაისმა არაცივილიზებული ტონალობის ხმები — ისევ მტრის ხატის შექმნა, ისევ „ჩვენები" და „არაჩვენები", ისევ ჭუჭყიანი თეთრეულის ქექვა...

ამის თავიდან აცილება, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ ვერავინ შეძლებდა წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდის ინტელექტუალური დონის ამაღლებას — იმდენად არაერთგვაროვანია და ჭრელი სპექტრი, ხოლო მისი ზოგი ნაწილი — იმდენად დაბალი დონისა. საკმარისია ითქვას, რომ კულტუროსანთა ერთი ბლოკის წინასაარჩევნო სატელევიზიო გამოსვლაში პროგრამის ერთი პუნქტი ასე იყო ჩამოყალიბებული: „საქართველოში სრული კულტურის დამყარება"...

დასასრულ, ყველაფერი, რაც აქ ითქვა, არავითარ შემთხვევაში არ არის მიმართული არჩევნების წინააღმდეგ, პირიქით. მიზანი ამ შემთხვევაში ერთადერთია: ახლავე მოვემზადოთ იმ ზოგიერთი ნეგატიური შედეგის თავიდან ასაცილებლად, რომლის შესაძლებლობა ჩვენ თვითონვე დავუშვით უკვე.

რაც შეეხება არჩევნებს, ისინი აუცილებლად და გადაუდებლად უნდა ჩატარდეს — რა ვითარებაშიც უნდა აღმოვჩნდეთ. ამისათვის ყველაფერი უნდა იღონოს ამომრჩეველმაც და ასარჩევმაც. არჩევნები ჩვენი ხსნაა. ჩვენ კატეგორიულად გვჭირდება განახლება, ხოლო განახლებას და რეფორმებს მხოლოდ ლეგიტიმური ხელისუფლება განახორციელებს. არჩევნები უნდა ჩატარდეს იმიტომაც, რომ დროა, ახლა მაინც, შეიქმნას პოლიტიკური ცხოვრების ნორმალური ციკლი, ამჯერად — სამწლიანი (ვითარება იმდენად რთული და არაორდინარული გვაქვს, რომ არ არის გამორიცხული ასეთ იდეაზე ფიქრი: შეიქმნას შეთანხმება პარტიებს შორის, რომლის მიხედვითაც ამ სამი წლის განმავლობაში არ იქნება მოთხოვნილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, თუმცა ამ იდეის მინუსებიც თვალსაჩინოა).

ცუდი არჩევნები, მაგრამ მაინც — მხოლოდ არჩევნები! ოღონდ გაკვეთილების გათვალისწინებაც. არა მემატიანის მიერ აღნუსხვა, არამედ ჩვენს მიერ გათვალისწინება დღესვე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ეროვნული თავდაცვის ფონდში

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს თავდაცვის ფონდში გადარიცხა 200000 მანეთი.

თანხის შეკრება გრძელდება. პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები, სტუდენტები საქართველოს არმიისათვის აგროვებენ ზამთრის ტანსაცმელს.

●

აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით, ეროვნული თავდაცვის ფონდში საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ ჩარიცხა 729 ათასი მანეთი, მათ შორის სამინისტროს აპარატის მუშაკებმა გადარიცხეს 49, რესპუბლიკურმა საბითუმო-საცალო გაერთიანება „საქსპორტკულტსაქონელმა" — 180, „საქსოფლტანსაცმელვაჭრობამ" — 100, „საქგალანტერეამ" — 60, „საქფეხსაცმელვაჭრობამ" — 100, გაერთიანება „ავეჯმა" — 100 ათასი მანეთი.

●

თერჯოლაში სპეციალური ანგარიში გაიხსნა ეროვნული გვარდიის თანადგომის მიზნით. რაიონის წარმოება-დაწესებულებების მიერ უკვე გადარიცხულია ორასი ათას მანეთზე მეტი თანხა.

აღსანიშნავია „№1 მეხკოლონის" კოლექტივის წვლილი, რომელმაც ამ ფონდში ორმოცდაათი ათასი მანეთი გადარიცხა. ფირმა „ჯოკონდამ" — 10, შამპანკომბინატმა — 30, აგრობანკმა — 15, ბინსოცბანკმა — 20, სარემონტო კანტორამ 7, საშენ მასალათა კომბინატმა — 5 ათასი მანეთი.

გარდა ამისა, ადგილობრივი გვარდიის ბატალიონისათვის გადარიცხულია 20 ათას მანეთზე მეტი.

აფხაზეთში მებრძოლთათვის

გურჯაანში გაიმართა კახეთის რეგიონის ხელმძღვანელთა თათბირი, რომელმაც განიხილა საქართველოში შექმნილი მწვავე სიტუაციის საკითხები. მოისმინეს ყველა რაიონის გამგებელთა ინფორმაცია. აღინიშნა, რომ კახეთი მზად არის მტრის ყოველგვარი ვერაგული გამოხტომის ასალაგმავად. ყველა სოფელსა და დასახლებულ პუნქტებში შექმნილია შეიარაღებული ჯგუფები, დაწესებულია სადღეღამისო მორიგეობა.

თათბირის მონაწილეებმა კახეთის მოსახლეობის სახელით განაცხადეს, რომ მზად არიან აფხაზეთში მებრძოლ ერის შვილთა მხარში ამოსადგომად. განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებანი — გაუგზავნონ თბილი ტანსაცმელი აფხაზეთში მებრძოლ მთელ შემადგენლობას.

ბრწყინვალე სოპრანო

ეთერ ჭყონია — ესპანეთის კონკურსის ლაურეატი

სასიხარულო ცნობა მოვიდა ესპანეთიდან. ქალაქ პამპლონაში ოთხ ოქტომბერს დასრულდა ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც წარმატებას მიაღწია ქართველმა მომღერალმა ეთერ ჭყონიამ. მან 120 მონაწილეს შორის ლაურეატის წოდება — მეორე პრემია მოიპოვა.

ესპანეთის პრესა აღნიშნავს ქართველი ვოკალისტის შესანიშნავ მონაცემებს, ინდივიდუალურ საშემსრულებლო სტილს. ერთ-ერთმა გაზეთმა ეთერ ჭყონიას ხმას სწორედ „ბრილიანტ-სოპრანო" ანუ ბრწყინვალე სოპრანო უწოდა. მომღერალს აკომპანიატორობა გაუწია თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა ელისო ასათიანმა, რომლის ანსამბლურობის კარგმა შეგრძნებამ უთუოდ შეუწყო ხელი მომღერლის წარმატებას.

საგულისხმოა, რომ ესპანეთი დიდ სიმპათიებს ამჟღავნებს ეთერის მიმართ. ჯერ იყო და შარშან ბარსელონის კონკურსის ლაურეატობა მოიპოვა, ამ ორიოდე თვის წინათ კი ბილბაოს საოპერო თეატრში ბიზეს „კარმენისა" და პუჩინის „ბოჰემაში" მიქაელასა და მიუზეტას პარტიების შესრულების შემდეგ თეატრის დირექციამ მომღერალს ორწლიანი კონტრაქტი [illegible]დო. ასე რომ, ეთერ ჭყონია ამჟამად ბილბაოს თეატრის სოლისტია.

წუხელ პამპლონაში ლაურეატთა კონცერტი გაიმართა, რის შემდეგაც მომღერალი ესპანეთის ნავარის მხარის ქალაქებში გამართავს კონცერტებს.

კორეელი მუსიკოსების ქართული დღე

დღიდან დაარსებისა თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი ღირსეულად ასრულებს თავის მისიას — რაც შეიძლება ბევრი ადამიანი აზიაროს მუსიკის ღვთაებრივ სამყაროს. რამდენი ამაღლებული შეხვედრა ახსოვს ქართველ მსმენელს ამ გუმბათქვეშ. დეკემბერ-იანვრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ სწორედ აქ გაიმართა ეროვნული სიმფონიური ორკესტრის (ხელმძღვანელი ჯანსუღ კახიძე) თაოსნობით სალამო — „დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს". ეს იყო ომში დაღუპულთა რეკვიემი, რომელიც ერთბაშად დიდ ტკივილსა და იმედის ოპტიმისტურ სხივს აჩენდა ჩვენს გულებში — რომ ცხოვრება კვლავ გრძელდება, ადამიანი მშვენიერებისათვის არის მოწოდებული.

მუსიკალურ ცენტრს უცხოელი მუსიკოს-შემსრულებლებიც ხშირად ჰყავს სტუმრად. ოქტომბრის პირველი კონცერტი კორეელ მუსიკოსებთან შეხვედრით დაიწყო. საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრს უდირიჟორა სეულის სიმფონიური ორკესტრის შემქმნელმა და ხელმძღვანელმა, ცნობილმა მაესტრომ უონსიკ ლიმ, კონცერტში მონაწილეობდა მისი მოწაფე 16 წლის ვირტუოზი მევიოლინე გოგონა — პეკ ჭუ იონგი. მათი შესრულებით ჟღერდა მაქს ბრუხის „კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის" და ბეთჰოვენის — სიმფონია № 5 დო მინორი.

კორეელმა მუსიკოსებმა მხოლოდ სამი რეპეტიცია გაიარეს ქართულ ორკესტრთან, ვინც ამ კონცერტს დაესწრო დაგვეთანხმება, რომ თუ არა ორივე მხარის დიდნიჭიერება და მაღალი პროფესიონალიზმი, არ შედგებოდა მუსიკის ჭეშმარიტი ზეიმი.

დაუჯერებელი იყო, რომ ორკესტრის წინ 74 წლის მუსიკოსი იდგა, ისეთი ლაღი და შთაგონებული იყო მისი შესრულება, მუსიცირებისას იგი განიცდიდა უდიდეს ნეტარებას, რომელიც მსმენელთაც გადაეცემოდა. იმდენად ღრმა ემოციური გააზრება ახასიათებდა მის შესრულებას, რომ ჭეშმარიტად შემოქმედებითი გარდასახვის მოწმენი გავხდით.

ახალგაზრდა სოლისტმა პეკ ჭუ იონგიმ მსმენელს დიდი სიამოვნება მიანიჭა ბრუხის კონცერტის გააზრებული და მეტყველი შესრულებით.

კორეული მუსიკოსების ვიზიტი თბილისში გიორგი ცაბაძის სახელობის ხელოვნების განვითარების ფონდის (დირექტორი ნუგზარ კვაშალი) ხელშეწყობით მოხდა.

უონსიკ ლიმ კონცერტის შემდეგ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა:

— მართალია სულ სამი დღეა რაც ამ ორკესტრს შევხვდი, დღეს კი მაყურებელსაც გავეცანი, ჩანს, რომ აქ შესრულებისა და მოსმენის შესანიშნავი ტრადიცია არსებობს. კვალიფიცირებული მუსიკალური აუდიტორია ჰყავს თქვენს ქალაქს. ამ ორკესტრთან კი მომავალშიც სიამოვნებით ვიმუშავებდი.

გიორგი ლალიაშვილი.

• • •

სურათზე: კორეელი დირიჟორი უონსიკ ლიმი და სოლისტი პეკ ჭუ იონგი საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

ზურაბ გენგიურის ფოტო.

თამაშები გადატანილია

როგორც ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები ყველა ლიგაში გადატანილია რესპუბლიკაში არსებული რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო.

ევროპის სტადიონებზე

გრძელდება 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები.

ოთხშაბათს გამართული მორიგი შესარჩევი შეხვედრების შედეგები ასეთი გახლავთ. მეორე ჯგუფი. სან-მარინო — ნორვეგია 0:2; მეხუთე ჯგუფი: ისლანდია — საბერძნეთი 0:1; მეექვსე ჯგუფი: შვედეთი — ბულგარეთი 2:0.

ფიშერის მეექვსე გამარჯვება

ბელგრადში გაიმართა რობერტ ფიშერისა და ბორის სპასკის „საუკუნის მატჩის" მეთექვსმეტე პარტია, რომელიც ოთხსაათ-ნახევრიანი ბრძოლის შემდეგ 35-ე სვლაზე ამერიკელი დიდოსტატის გამარჯვებით დასრულდა. იგი შავი ფიგურებით თამაშობდა.

ფიშერი კვლავ 3 ქულით დაწინაურდა — 6:3.

მარიო ლემიეს — 42 მილიონი

მას შემდეგ, რაც ორშაბათს ხელი მოაწერა ახალ, შვიდწლიან კონტრაქტს ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ „პიტსბურგ პინგვინზთან", მარიო ლემიე გახდა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ჰოკეისტი. კონტრაქტის საერთო თანხამ 42 მილიონი დოლარი შეადგინა.

„მე შესანიშნავი საჩუქარი მიძღვნეს დაბადების დღეზე, — განაცხადა ლემიემ, ფრანგული წარმოშობის კანადელმა, რომელსაც იმ დღეს 27 წელი შეუსრულდა.— სიამოვნებით დავრჩები „პიტსბურგში" სპორტული კარიერის დასასრულამდე. კლუბის ხელმძღვანელობა სერიოზულად არის დაინტერესებული დიდი გუნდის შექმნით და მე მსურს, მისი ნაწილი ვიყო".

პროფესიონალთა ლიგაში რვაწლიანი თამაშის მანძილზე ამ მრისხანე თავდამსხმელმა (მისი სიმაღლეა 1,93 მ, წონა — 95 კგ) 517 მატჩში 408 შაიბა გაიტანა და 517 საგოლე გადაცემა შეასრულა. განვლილ სეზონში მარიო ლიგის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 131 ქულით (44 გოლი, 87 ზუსტი გადაცემა). ტრავმის გამო მან 16 შეხვედრა გამოტოვა.

1984-85 წლების სეზონის შემდეგ, როდესაც იგი ლიგის საუკეთესო ახალბედა მოთამაშედ დაასახელეს, ლემიე ორჯერ ცნეს ლიგის ყველაზე დაფასებულ ჰოკეისტად. სწორედ მისი უდიდესი დამსახურებაა, რომ ერთ დროს საშუალო გუნდმა — „პიტსბურგ პინგვინზმა" ზედიზედ ორჯერ მოიპოვა სტენლის თასი.

ჩოგანი

მოვიგონოთ დიუსელდორფის გმირი

დღეს ვიტალი დარასელიას დაბადების 35 წლისთავია. 13 დეკემბერს კი სრულდება მისი დაღუპვის 10 წლისთავი. ამ თარიღის აღსანიშნავად სადაზღვევო კომერციული საზოგადოება „სპორტტრანსი" და ვ. დარასელიას სახელობის საქველმოქმედო ფონდი 10-12 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ატარებს დიდ საერთაშორისო ტურნირს ვეტერანი ფეხბურთელების მონაწილეობით. ტურნირში მოწვეული არიან: თბილისის „დინამოს", ერევნის „არარატის", მინსკის „დინამოს", კიევის „დინამოს", მოსკოვის „სპარტაკისა" და სანქტ-პეტერბურგის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები, მოსალოდნელია თურქეთისა და გერმანიის ვეტერან ფეხბურთელთა მონაწილეობაც.

ხსოვნის ტურნირის ჩატარების ინიციატივამ განსაკუთრებული მხარდაჭერა ჰპოვა საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის ბატონ კახი ასათიანის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ბატონ ნოდარ ახალკაცის, საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარის ბატონ ვლადიმერ ბარქაიას, ვ. დარასელიას ყოფილი თანაგუნდელების, 1981 წლის 13 მაისის — ფეხბურთში ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალის მონაწილეების — ალექსანდრე ჩივაძის, ოთარ გაბელიას, ნოდარ ხიზანიშვილის და სხვათა მხრივ.

სავსებით გასაგებია, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ხსოვნის ტურნირის ჩატარებას ვ. დარასელიას მშობლიური ქალაქის ოჩამჩირის მოსახლეობა, მით უმეტეს, რომ ტურნირში სიმბოლური მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია საფეხბურთო კლუბი „ამირანი". დღეს, როდესაც გამოჩნდა რეალური შესაძლებლობა ამ რეგიონში მშვიდობის დამყარებისა, ტურნირის ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის აღდგენისა და შემდგომი განმტკიცების საქმეში.

საერთაშორისო ტურნირის ჩატარება, ბუნებრივია დაკავშირებულია გარკვეულ ორგანიზაციულ საკითხებთან, რაც თავისთავად სათანადო დაფინანსებას მოითხოვს და აღემატება ერთი ორგანიზაციის შესაძლებლობას, რასაც დიდი გაგებით მოეკიდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და მიღებული იქნა დადგენილება ფულისა და ნივთების საქველმოქმედო ლატარიის ტირაჟის მიმდინარე წლის 12 დეკემბერს ჩატარების შესახებ. ლატარიის გათამაშებით მიღებული შემოსავალი მოხმარდება არა მარტო ტურნირის ორგანიზაციას, არამედ რესპუბლიკაში ახალგაზრდებს შორის ფეხბურთის პოპულარიზაციას, ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდას და ქართული ფეხბურთის შემდგომ განვითარებას, დაღუპულ და ნაკლებად უზრუნველყოფილ ფეხბურთელთა ოჯახების მატერიალურ დახმარებას და ვ. დარასელიას სახელობის საქველმოქმედო ფონდის შევსებას.

ახალგაზრდებს შორის ფეხბურთის პოპულარიზაციისა და ნორჩ ფეხბურთელთა აღზრდის მიზნით საზოგადოება „სპორტტრანსი"-ს მიერ გადადგმულია პირველი ნაბიჯები: დაარსდა ქალაქ თბილისის სპორტული კლუბი „თბილისი", რომელსაც სათავეში ჩაუდგა ქართველი გულშემატკივრებისათვის ცნობილი ფეხბურთელი ბატონი ნოდარ ხიზანიშვილი. სპორტული კლუბის ფეხბურთელები უზრუნველყოფილნი არიან სპორტული ბაზით, ინვენტარით და სათანადო სპორტული ფორმით. ნორჩი ფეხბურთელებისათვის დაწესებულია სტიპენდია. სპორტული კლუბის „თბილისის" ერთ-ერთი პირველი წევრი გახდა ვ. დარასელიას ვაჟი, პატარა ვიტალი დარასელია.

ჩვენს მიერ დასახული პროგრამა სერიოზულ ხარჯებს მოითხოვს და ეს, როგორც აღვნიშნეთ, ერთი ორგანიზაციისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს. იმედი გვაქვს, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები და საქართველოს მთელი მოსახლეობის ის ნაწილი, რომლისთვისაც ძვირფასია ქართული ფეხბურთის და საერთოდ ქართული სპორტის ხვალინდელი დღე, გაგებით მოეკიდებიან ჩვენს წამოწყებას, ხელს შეგვიწყობენ გამოშვებული ლატარიის ბილეთების რეალიზაციაში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვ. დარასელიას ხსოვნის ტურნირისადმი მიძღვნილი ლატარიის ბილეთების რეალიზაცია მიმდინარეობს კონცერნ „ინტერსპორტლოტოს" და პრესის გავრცელების სააგენტო „მაცნეს" ჯიხურებში, სავაჭრო ობიექტებში, საქართველოს კომერციული შემნახველი ბანკის განყოფილებებში და მთელ რიგ წარმოებებსა და სასწავლებლებში საზოგადოებრივი გამავრცელებლების მიერ. ლატარიის ბილეთები იყიდება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით.

ამასთან ერთად, იმ წარმოება-დაწესებულებებს თუ კომერციულ სტრუქტურებს, რომლებსაც სურთ გახდნენ ვ. დარასელიას ხსოვნის ტურნირის სპონსორები ან მოათავსონ რეკლამა სპორტის სასახლეში ტურნირის ჩატარების დღეებში, ვთხოვთ მომართონ სადაზღვევო კომერციულ საზოგადოება „სპორტტრანსს" მისამართით: ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. № 15, ტელ. 39-61-69.

სპონსორებს შეუძლიათ თანხები გადარიცხონ სადაზღვევო კომერციული საზოგადოება „სპორტტრანსის" ანგარიშზე საქართველოს სოციალური განვითარების ბანკში. ქ. თბილისი. ანგარიშის № 000467825, მფო 521017.

თამაზ ყიფიანი.

• • •

სურათზე: შეტევაშია ვიტალი დარასელია.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

ხსოვნა

ოთარ კალაიჩევი

ისეთი გაჭირვების დროს, როდესაც საქართველო თავისუფლებისა და ერთიანობისათვის იბრძვის, მასში მონაწილეობას ღებულობს საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელი, საყვარელი საქართველოს გადასარჩენად. ასეთთა შორისაა შინაგან საქმეთა სამინისტროს წალკის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომელი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ოთარ ივანეს ძე კალაიჩევი, რომელიც 29 სექტემბერს ქ. სენაკში ბანდიტების მიერ იქნა მოკლული. მას გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა პოლიციის კაპიტნის წოდება. იგი ეროვნებით ბერძენია და საქართველოს გასაჭირზე პირველსავე დაძახებაზე ჩადგა მის დამცველთა რიგებში და ერთხელაც არ უთქვამს, რომ ოჯახში ცოლი და მცირეწლოვანი შვილი დატოვა.

ო. კალაიჩევი დაიბადა 1959 წ. ქ. წალკაში, მოსკოვში დაამთავრა საინჟინრო ინსტიტუტი და 1985 წელს სამუშაოდ მოვიდა შს ორგანოებში. მუშაობის პერიოდში ხასიათდებოდა დადებითად, ამიტომ მისმა ასე უდროოდ სიკვდილმა ერთიანად დასწყვიტა გული მის მეგობრებს და კოლეგებს.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის საქართველოს მიწა.

ო. კალაიჩევის მიერ ვაჟკაცურად გავლილ გზას დავიწყება არ უწერია.

ვიტალი პარასკევოვი

კვლავ დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალათასიანმა კოლექტივმა. ჩვენს რიგებს გამოაკლდა საქართველოს მტრების მიერ ნასროლი ტყვიით განგმირული ბერძენი ვაჟკაცი, პოლიციის მაიორი ვიტალი ავრამის ძე პარასკევოვი.

დაიბადა 1949 წელს წალკის რაიონის სოფ. ქვემო ხარაბაში. თავისუფლად ფლობდა ოთხ ენას და ამიტომ არ უჭირდა არცერთი ეროვნების ადამიანთან ურთიერთობა. შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობს 1972 წლიდან, წალკის შს რაიგანყოფილებაში სხვადასხვა თანამდებობაზე, რა დროსაც მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად და უმწიკვლოდ შესრულებისათვის ზემდგომი ორგანოების მიერ მრავალჯერ წახალისებულა. ამიტომ ძალზედ გულსატკენია ასეთი ადამიანის უდროოდ წასვლა, მითუმეტეს რომ მას ცოდნა და გამოცდილება ჰყოფნიდა მომავალი თაობაც აღეზარდა.

ვაგლახ, რომ საქართველოს მტრებმა არ დააცადეს საქართველოს ერთგულ ვაჟკაცს აღეზარდა თავისი და სხვისი შვილებიც.

საქართველოსათვის თავდადებული ვაჟკაცის სახელს დავიწყება არ უწერია.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის საქართველოს მიწა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო.

„საქნავთობპროდუქტის" კონცერნი სამძიმარს უცხადებს ახალციხის კომერციულ-საშუამავლო საწარმოს დირექტორს ომარ ჯაყელს ვაჟიშვილის

ვალიკო ჯაყელის

გარდაცვალების გამო.

თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის სახელმწიფო ფირმა „თბილმეტრომშენი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა გვირაბმშენებლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო სპეციალისტი და ორგანიზატორი, ფირმა „თბილმეტრომშენის" ხელმძღვანელის მოადგილე

რომან ჭელიძე

პანაშვიდი 9 და 10 ოქტომბერს 17 საათზე. გამოსვენება 11 ოქტომბერს 14 საათზე. ქ. თბილისი, ყაზბეგის ქ. 4.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერი 0488.

შეკვეთა [illegible]